


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, მტკიცე ბეჭდურ სიფყვას, ფყილებით და ჭებრით ბუბთის გაცანა ყულა უკადრისმბაჩე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, **14** ივნისი, 2014 წელი.

№114 (7495)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

სვალ არჩევნებია!



ხელისუფლებისთვის ბრძოლა – სინდისის უკანასკნელ ღვეთაგდეუ..!



ლორენსო შარანგია:

ჯერ აფხაზები დაპიბრუნოთ და მერე აფხაზეთის დაპიბრუნება!

6
7

მოგზაურობა ევროპაში 300 წლის შემდეგ

სულხან-საბა ორბელიანის კვადრატული ევროპაში

მოგზაურობა ევროპაში, რომელსაც პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ქართველი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობს, ზუსტად იმეორებს იმ მარშრუტს, სულხან-საბა ორბელიანმა რომ გაიარა 300 წლის წინათ, 1714-1715 წლებში.



მე ვეწვიე იმ ადგილს მდინარე სენაზე, სადაც ეს გამარჯვება მოიპოვა გიორგი ნიკოლაძემ და იქ გადაღებული ერთი ფოტო მინდა ჩვენი გვერდის მკითხველსაც შეეთავაზო.

4

გოგი თოფაძე:
ეს უნდა ვთქვა!

2

დათა ქაჯაიას პოკარი

იტალიური მონტას ავტოდრომა ვეროპის ჩემპიონატის – „ლეჯენდ სუპერქაფის“ მეოთხე ეტაპს უმასპინძლა. შესანიშნავად იასპარეზა ქართველმა დათა ქაჯაიამ, რომელმაც ეტაპის ოთხივე რბოლა მოიგო...

10



არქიმანდრიტი ადამი: – ხსნისაკენ გზაი ხომ სოფელზე უკრძეხია...

9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

ირაკლი ლარიბაშვილი: ასოცირების პროცესი პრომატკვალა და ფართომასშტაბიან რეფორმებს ითვალისწინებს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუსთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან უპრეცედენტოდ დაახლოვებს.

როგორც მოგეხსენებათ, 27 ივნისს ჩვენ ხელს ვანერო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და ამ ნაბიჯით გადავიდვართ ურთიერთობების ხარის-

ევროინტეგრაციის პროცესს. საქართველოს მთავრობა მზადაა, ეფექტიანად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, რათა ჩვენმა თითოეულმა მოქალაქემ მაღელვარებით შეთანხმებით გათვალისწინებული სარგებელი მზად ვართ, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა ამ მიმართულებით. ამ კონტექსტში, ძალზე ვაფასებთ ევროკავშირის დახმარებას ევროინტეგრაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების პროცესში, - განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.



სობრივად სრულიად ახალ ეტაპზე. ბატონ ბაროზუსთან შეხვედრისას გვექონდა საშუალება განგვეხილა ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დადგება უკვე ხელმოწერის შემდეგ, ვინაიდან შეთანხმება ამოქმედდება მოკლე ხანში. მსურს, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ასოცირების შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან უპრეცედენტოდ დაახლოვებს, ევროპული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების დანერგვის გზით, რაც, ფაქტობრივად, შეუქცევადს გახდის საქართველოს

მისივე განმარტებით, ევროკომისიის პრეზიდენტთან საუბარი ასევე შეეხო საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებს.

„დღეს ხელი მოვანერეთ ევროკავშირთან და ევროპის საინვესტიციო ბანკთან მნიშვნელოვან საფინანსო შეთანხმებას, რომლის მიზანია საქართველოში წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზაცია. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებში და ნათელი მაგალი-

თია იმისა, რომ ევროკავშირი მხარში უდგას ჩვენს ქვეყანას რეფორმების საკმაოდ რთულ პროცესში. ბატონ პრეზიდენტთან ჩვენ ასევე ვისაუბრეთ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე. მათ შორის განსაკუთრებით გამოვყოფ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების პერსპექტივას, რომელსაც კონკრეტული შედეგი მოაქვს ჩვენი მოქალაქეებისთვის. ჩვენ უკვე მივაღწიეთ სერიოზულ პროგრესს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის განხორციელების კუთხით. ბატონ პრეზიდენტთან ერთად განვიხილეთ, ასევე, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები სხვადასხვა პრიორიტეტულ დარგში, მათ შორის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საერთო მიზნების წარმატება დიდად არის დამოკიდებული რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის არსებობაზე. ამ კონტექსტში, ჩვენ ვაფასებთ ევროკავშირის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და იმ როლს, რომელსაც ის ასრულებს პოლიტიკური განცხადებების, შეხვედრების, მოლაპარაკებებში მონაწილეობის, მონიტორინგის მისიისა და სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის საშუალებით. ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ევროპის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოში უსაფრთხოებისა და მშვიდობის ხელშეწყობის პროცესში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ 80 მილიონი ევროს ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტი გააფორმეს.

ხელმოწერის ცერემონია სასტუმრო „რედისონში“ საქართველო-ევროკავშირის საერთაშორისო საინვესტიციო კონფერენციის ფარგლებში გაიმართა. 80 მილიონი ევროდან 8 მილიონი საქართველოში წყლის ხარისხის გაუმჯობესებაზე დაიხარჯება და ის 200 000 ადამიანისთვის წყლის უწყვეტ მიწოდებას უზრუნველყოფს.

ინფორმაცია

კუპაას წინასაარჩევნო დაპირება, თუ...

გუშინ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კუპაა სოფელ დილოში კენჭაძეების ოჯახს შეხვდა.

ლევა კენჭაძე წინა ხელისუფლების პერიოდში უკანონოდ დააკავეს და მუქარის, შანტაჟის და დაშინების გზით წაართვეს საცხოვრებელი კერძო სახლი.

კენჭაძეების საკუთრებაში ამჟამად დიმიტრი სანაკოვეი ცხოვრობს. სამწუხაროდ, საქართველოში რამდენიმე ასეულს აჭარბებს იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში საკუთრება უკანონოდ დაკარგეს. დაზარალებულები, კენჭაძეების მსგავსად, „პარტული ოცნებისგან“ დღემდე უშედეგოდ ელიან მათი კუთვნილი ქონების დაბრუნებას, - აცხადებენ „არასაპარლამენტო ოპოზიციაში“.

კახა კუპაას განმარტებით, ხელისუფლება ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ წართმეული ქონების კანონიერ მესაკუთრეთათვის დაბრუნება რაიმე ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კახა კუპაამ კენჭაძეებს და საზოგადოებას კიდევ ერთხელ მისცა პირობა, რომ მისი მერად არჩევის მეორედ დღესვე თბილისის მერიის ბალანსზე არსებული უკანონოდ ჩამორთმეული ქონება კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდება.

26 ათასამდე პარტიულს აფხაზეთში მოქალაქეობას ჩამოართმევენ?

ოპოზიციულ აფხაზეთში გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის ე.წ. ადმინისტრაციებთან არსებული კომისიის რეკომენდაციით გაცემული პასპორტები უკანონოდ ითვლება.

ამის შესახებ დე ფაქტო პარლამენტის წევრმა, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა რაულ ხაჯიმაშვილმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, ბევრი მათგანი, ვინც ცხოვრობს გალის რაიონში, საქართველოს მოქალაქეა.

„საქმე ეხება 25-26 ათას ადამიანს - ამ კატეგორიას არ აქვს უფლება, მისცეს ხმა საპრეზიდენტო არჩევნებში, სანამ არ მოიხსნება ყველა საკითხი, რომელიც უკავშირდება ძალიან უხემ დარღვევებს პასპორტების გაცემის პროცესში“, - განაცხადა ხაჯიმაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ის ადამიანები, ვინც თავის დროზე აფხაზეთში ე.წ. პასპორტები კანონდარღვევით აიღო ისე, რომ ამავდროულად ფლობდა საქართველოს მოქალაქეობას, აფხაზეთში ცხოვრებას გააგრძელებენ.

ამ ხალხმა ჩვენთან ერთად უნდა ააშენოს აფხაზეთის სახელმწიფო, მაგრამ მათი სამართლებრივი სტატუსი ჩვენს კანონებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, - აღნიშნა ხაჯიმაშვილმა.

მისივე აზრით, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის პასპორტები, რომლებიც გაცემულ იქნა ადგილობრივ ადმინისტრაციებთან უკანონო ვიზიტების შექმნამდე. ამასთან, იგი არ იზიარებს დე ფაქტო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბათალ ტაბალუას განცხადებას იმის თაობაზე, რომ არჩევნებიდან მხოლოდ 1 180 ადამიანი მოიხსნა, რომელთა დოკუმენტები ბათილად იქნა ცნობილი.

ინფორმაცია

საყდრის სტატუსს ხელახლა განიხილავენ

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი კულტურის სამინისტროს სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც, საყდრის საბადადოს ისტორიული ძეგლის სტატუსი შეუჩირდა.

მოსამართლე ინგა კვაჭანტირაძის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელი, კერძოდ, საყდრისთან დეკავშირებით კულტურის სამინისტროს საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ მოუწევს.

კერძოდ, მოსამართლის გადაწყვეტილებით, კულტურის სამინისტროს 2013 წლის 5 ივლისის დადგენილება ბათილად გამოცხადდა და ეს საკითხი სამინისტროს განსახილველად დაუბრუნდა, გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევებით, არქეოლოგიური საბჭოს გარეშე იყო მიღებული.

როგორც სასამართლოზე აღინიშნა, სამინისტრომ გადაწყვეტილება II-კაციათი კომისიის ფარგლებში მიიღო და არქეოლოგიურ საბჭოზე არ გაუტანია.

საქალაქო სასამართლოს მიერ, „მწვანე ალტერნატივის“ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელს კომენტარი არ გაუკეთებია.

ინტერპრესი

ხვალ არჩევნები

გოგი თოფაძე: ეს უნდა ვთქვა!

„მრთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრს ეკითხება:

- სად არის თქვენს მიერ დაპირებული 100 სანარმოო? კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი პასუხობს:
- თქვენს მიერ აშენებული 100 საავადმყოფოს გვერდით...?
- ბოლო პერიოდში, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ დაპირებული 100 სანარმო, იუმორს ვერ უძლებს.
- სანამ პოლიტიკური მხარეებ, ერთმანეთისათვის პრობლემების გადაბრალებ-გადმობრალებაში არიან, „რეპორტიორი“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ბიზნესმენ გოგი თოფაძეს ესაუბრა:

- დადებითად ვაფასებ მთავრობის მუშაობას. ახლა, გაცილებით უკეთესობაა. მიმივ მეგვიდრეობა დაგვგვება. ძალიან ბევრი რამ იყო გამოსასწორებელი. მთავრობა, წელიწადის და რვა თვის განმავლობაში, პრაქტიკულად, ამ ხარვეზების გამოწვევას მოუწია. გარდა ამისა, ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობაში, გადაიხნა მთელი საქართველო, ამდენ ხანს თუ მისვლას ვერ ბედავდნენ უფულობის გამო, ახლა უკვე კლინიკები გადავსებულია ხალხით. ასევე, ძალიან ბევრი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სანარმო აშენდა ამ ორ წელში...

- ბატონო გოგი, თუ სანარმოებსაც აშენებთ, რატომ უმაღავთ საზოგადოებას?

- სამწუხაროდ, ჩვენმა PR-ტექნოლოგებმა, ვერ მოასწრეს მათი გაპიარება. მე თვითონ მაქვს შემოვლილი და დათვალიერებული, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 22 სანარმო, ეს, მე რაც დავთვალე. აღდგენილია რამდენიმე ძველი სანარმო, რომელიც არ მუშაობდა,

ამ ფონზე, გაძლიერებული PR არ გეჭირდება მაინც და მაინც. ამას თქვენც გრძნობთ, ალბათ, პროფესიონალი ხართ.

- საკადრო პრობლემები აქვს ხელისუფლებას...

- საკადრო პრობლემებიცაა, მაგრამ ეს გამოსწორდება. ყოველ წელს, ასეულობით სტუდენტს ვუშვებთ სასწავლებლად იმ პირობით, რომ, როცა დაბრუნდებიან, სახელმწიფოს მოემსახურებიან.

- რა ხდება ბიზნესის სფეროში? ხელისუფლების მხრიდან ზენოლას განიცდიან ბიზნესმენები...

- ერთი დაყანალებული ბიზნესმენი მანახეთ! უზნეობაა, ამაზე რომ საუბრობენ ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. მიტხრან, ვინაა ასეთი და მე ვიქნები ერთ-ერთი

- მე ობიექტური კაცი ვარ და ეს უნდა ვთქვა! სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი PR-ბლოკი, არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს! ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები კრიტიკას, არც ერთი ქარხანა არ აშენდაო, პასუხი უნდა გავცათ! გეთანხებით, გაპიარება ადრე უნდა დაგვეწყვიტა. ახლა უკვე დავიანებულა...

- თქვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხომ არ მოდის მოთხოვნა PR-ის ნაკლები დროის თაობაზე? საზოგადოებას ახსოვს ხელისუფლების ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები - ჩვენ ვიარისთვის არ მოვსულვართო...

- იმდენი ცუდი აკეთა წინა ხელისუფლებამ და იმდენ კარგს აკეთებს ეს ხელისუფლება, რომ



თი პირველი, ვინც მის ინტერესებს დაიცავს!

- ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი დღე რჩება. მეორე ტურს თუ მოეწივთ?

- მეორე ტური? როგორ გეკადრებათ? არავითარი მეორე ტური არ იქნება. 10%-ზე მეტი თუ მიიღეს „ნაციონალებმა“, დიდი მიღწევა იქნება!

ლიანა ლიპარტიანი

P.S. ბიზნესზე ზენოლის შესახებ საუბრისას, ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები ფაქტებზე საუბრისას, ძირითადად, კოალიცია „ქართული ოცნების“ შემოწინააღმდეგეების წესის წარმოდგენით კმაყოფილდებიან. ნუსხა, მართლაც დიდი და დამაფიქრებელიც. თუმცა, ამის პარალელურად, არც „რესპუბლიკელი“ თინა სიდაშელის მოსაზრება მოგვიწინებდა საფუძველს მოკლებულად. მისი თქმით, აღნიშნული ბიზნესმენები იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთა ლოზუნგაც არის - „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“

ბიზნესი გვერდით გადავდეთ ორი წუთით და გეტყვი, რომ ბატონ გოგი თოფაძესთან საუბრისას ერთი რამ დამამაზოვრდა გამოკვეთილად - პროფესიონალი კადრები არ გვჭაბს, ამიტომ უცხოეთში ვუშვებთ ახალგაზრდებს სასწავლებლად, რამდენიმე წელში პროფესიონალები დაგვიბრუნდებიან... ერთი არ უთქვამს, „პროფესიონალ კადრებს სანთლით ვეძებთო...“

როდესაც პროფესიონალი კადრების დეფიციტზე საუბარს ვისმენ, სურვილი მაქვს, თითოეულ მათგანს ვუთხრა - ხომ არ დამაჭერინებდით ბატონო (ქალბატონო) თქვენს სანთელს ხელში, სულ მცირე ხნით მაინც?

დ. ლ.

„სუდონჰესი – საბარტოვილუს ბაღის-წმირა“ პროფესიული თვალსაზრისით სამოყვარულო ფილმის ჩარჩოებს არა სცილდება, მაგრამ ზნეობრივი თვალთახედვით უზადოა და დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება უნდა გამოიწვიოს, შესაფერისი გზა და საჯარო რომ მისცემოდა მათგან... მაგრამ ტელეკომპანია „კავკასიის“ გარდა, არც ერთმა ტელევიზიამ არ უჩვენა და არც მის გარშემო გამართულ საფუძვლიანი, საქვეყნო ტივილით გაუფრთხილები, საქვეყნო ტივილით გაუფრთხილები სჯა-ბაბასი. „კავკასიის“ რომ არა, ეს ფილმი სულაც „კავკასიური სახლის“ კედლებში ჩარჩებოდა და გულს შემძვრელად შემორჩებოდა მხოლოდ იმ ადამიანთა მესსიერებას, ვინც 2014 წლის 3 აპრილს მის წარდგინებას ესწრებოდა.

იმით ისედაც მოეხსენებოდათ ხუდონჰესის აშენების სრული გაუმართლებლობა ჩვენი ქვეყნისათვის, ოღონდ ფილმი საშიშროებას კიდევ უფრო მძაფრად და ხელ შესახებდა გადაუშლიდათ თვალსაზრისით, თითქოს საზარელი, კომპარტული სიზმარი აცხადებულა.

ეს არის სიმართლე ხუდონჰესის კაშხლის მშენებლობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, ტრაგიკული სიმართლე, და ურთიდავად მხილება იმ ყაბი, ანგარეებით გაუფრთხილი მტკიცებისა, თითქოს და საქართველოს ცხოვრების გაუკეთების სურვილი იწვევდეს წყალში სოფლებს ჩაძირვის აუცილებლობას: საცხოვრისებო, ბაღებით, მინდვრებით, საფლავებით, ეკლესიებით... ეს, რაც დაემართა სოფელ ხუდონს, და ჟინვალის წყალსაცავმა სულაც რამდენიმე სოფელს რომ შეინარა.

სოფლები სოფლებად და, მისი აგება საერთოდ დაზარალებს სვანეთს – მისი ბუნება საფრთხის წინაშე დადგება და ის, რასაც საქართველოს უძველესი და დიდებული კუთხე ჰქვია, ისე შეიცვლება, თანდათან, ნასახივ ალარ დარჩება იმ თავისებურებისა და ადათ-წესებისა, ამ მხარესაც რომ მოჰქონდა თავი და მთელს საქართველოსაც მისი არსებობით.

ნაირა გელაშვილი ამ ფილმის შთამბეჭობელიც, სცენარის ავტორიც და ნამყვანიც, გულში ჩამწვდომად რომ მოგვითხრობს იმ მხარე ვითარებასა და უნუგემო პერსპექტივას კუთხისა და ქვეყნისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს ხუდონჰესის კაშხლის აშენებას, და საერთოდ – კაშხლების აგების გრანდიოზულ პროექტს, კიდევ არაერთ კუთხესაც რომ ემუქრება და დაემუქრება და, ასე თუ გაგრძელდა, მოსალოდნელია სამყაროს დასაბამი შემოგვიტრიალდეს – წყალში რომ ჩაძირულიყო მთელი ხმელეთი... და ნოეს ჟამიც ხელახლა განვიცადოთ...

კავკასიის მაინც წყალი ფარავდა და ბარემ დაგუბრუნდეთ მაშინდელ სინამდვილეს?

მაინცდამაინც შორს კი აღარ ვართ იქიდან.

„ხუდონჰესი – საქართველოს ბედისწერა“ ამ თავზარდამცემ სურათს გითვალსაჩინოებს და განგანყობს საქართველოს დასახსნელად ამ ავი ბედისწერიდან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსაც რომ დაემუქრებოდა, ამი-



ტომაც მიიღებდნენ მტკიცე გადაწყვეტილებასაც და კანონსაც, რომ ქვეყანაში კაშხლები აღარ აშენებულყო, მხოლოდ მცირე ჰესები, რაც ბუნებაში სულაც არ ჩაერევა უხეშად და მერე მის საპასუხო რისკს არ დაიტესს, და მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წინსვლას.

ფილმში ყველაფერი გულმოდგინედაა აღწუსული და წარმოჩენილი, უამრავი დამაჯერებელი საბუთია მოხმობილი ხუდონჰესის კაშხლის მშენებლობის სასწრაფოდ აღკვეთის მოთხოვნით, ვიდრე კიდევ დროა, თორემ მერე აღარაფერი გვეშველება და ვინ სევედიანად და ვინ გულგრილად შეიძლება ვადვენოთ თვალი, როგორ გვეძირება ქვეყანა წყალში – პირდაპირი მნიშვნელობითაც და სიმბოლურ-მეტაფორულადაც.

რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა ხომ გვეჭრება შიგნით და შიგნით და გადმოაქვთ აქეთ და აქეთ მავთულხლართები, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა კი მავთულხლართებს წყლით ანაცვლება, ვითომ დიდი განსხვავება იყოს... და რაღა გვიჭირს, საბელი ყელზე რომ შემოგვხლართვია მავთულხლართით თუ წყალში ჩაძირვით, და სულ უფრო გვიკრავს სუნთქვას.

ნაირა გელაშვილი არამარტო ერთი

ჩინებული მწერალია, დასავლური აზროვნებისა და რანგის, არამედ თავდაებული ქომაგიც საქართველოს ბუნებისა, სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენისთანავე რომ გაამყვანებდა ამ სწრაფვას და მართლაც სანიმუშოდ და სამაგალითოდ წარმოგვიდგება მისი მოღვაწეობა ამ მხრივაც.

ამ ფილმის გადაღების თაოსანი ის თუ იქნებოდა.

და მისი ტექსტის თარგმანზე მზრუნველიც გერმანულ და ინგლისურ ენებზეც, რათა დასავლური საზოგადოებრივი აზრიც მოვიმხროთ ამ კეთილშობილურ, სასიცოცხლო საქმიანობასა თუ ბრძოლაში ჩვენი მრავალფერადი ბუნებისა და ისტორიის შესანარჩუნებლად იმ სახით, ანდერძად რომ გადმოგვცემა ნინაპარტაგან და ისედაც ძალიან დავაზიანეთ; და ახლა სულაც ბოლო უნდა მოელოს ჩვენი უმწეობით, სასონარკვეითა თუ გულგრილობისაგან შობილი ჩუმი მხარდაჭერით?!

„კავკასიის“ ეკრანზე გამოსვლისას ნაირა გელაშვილი ფილმის ჩვენებას წაუშლევარებდა ვრცელ შესავალს, შემდეგ კი ფინალურ აკორდსაც დაისაჭიროებდა, რათა დავით აქუბარდიასთან დიალოგი კომპოზიციურადაც შთამბეჭდავად შეკრულიყო.



ფინალური აკორდი კი... ზვიად გამსახურდიას მძაფრი დრამატიზმით განმსჭვალული ლექსი აღმოჩნდებოდა: „საუკუნე უახლესი“.

ნაირა გელაშვილი განაცხადებდა, რომ კომუნისტური ხანიდან მოკიდებულ საქართველო გამოუდგებოდა იდეა ამ ეკოლოგიური საშიშროების წინაშე, კაშხალთა აგება გარდუვალად რომ გამოიწვევდა, ხელისუფალთაგან კი ერთადერთი ზვიად გამსახურდია გახლდათ, ვინც მხარს არ უჭერდა ამ პროცესს და ვერც ვერავინ მოაწყობდა და დააჯერებდა კაშხალთა მშენებლობის სიკეთეს, რაკილა იგი საფუძვლიანად ერკვეოდა ამ ყველაფერში.

ქალბატონი ნაირა თავის დროზე მის ოპონენტთა შორის რომ იმყოფებოდა?

ამას თვითონაც იტყობა გადაცემის დასასრულს, ოღონდ დასძინდა: სამართალდაცვით და ბუნების დაცვის, ეკოლოგიის გადარჩენის საქმეში თანამოაზრეები ვიყავით. და ზვიად გამსახურდიას ამ სწრაფვით დასტურდა მოხმობდა სწორედ იმ ლექსს, რომლის სულისკვეთებაც თავიდანვე მწვევედ გამოითქმოდა და პოეტურ ფორმულაშიც მოექცეოდა: ამ ენგურჰუსით და ჟინვალჰუსით სურთ საქართველოს აუგონ წესით.

რას გვიქვამდა ეს საუკუნე უახლესი? ბრგე ციხეთა და ტანკენარ ტაძართა მოსპობას.

მაღე გვექნებოდა მინაძე-ჰესი, მაგრამ... დაშლილი ვარძიის, ზარზმისა და ხერთვისის სანაცვლოდ. და გმინვა-გოდება ჯავახისა და მესხისა აბობოქრებულ ტალღებს შეერთვოდა.

ამ სუდონ-ჰესით, ნამოხვან-ჰესით სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მესი, რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.

საქართველო წესის ასაგებად გაემზადდებინათ.

და გვარნმუნებდნენ: იცავს ძეგლებს ეს საუკუნე უდავდესო!

ცინიზმი და ასეთი?!

რა გამოდის – კვლავაც იქ ვდგავართ, იმ კომპარულ რეალობაში, წყალქვეშ ჩასაძირად რომ მიექანებოდა მთელი ქვეყანა და მისი გამოგოგოვის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია?

თუ ასე არ არის და... რატომღა გვეჭირდება დიდი საშიშროების შესხენება და დაჟინებით განმეორება, დაგვიგვიწებული ასეთი ფილმის გადაღებით „ხუდონჰესი – საქართველოს ბედისწერა“... და რატომ გვრჩება განცდა და შთაბეჭდილება, რომ ზვიად გამსახურდიას „საუკუნე უახლესი“ რამდენიმე ათეული წლის წინათ კი არა, სწორედ ახლა, ამ დღეებში შეიქმნა?!

...ამ სუდონ-ჰესით, ნამოხვან-ჰესით სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მესი...

ის საბედისწერო განცხადება კი, ნიკოლოზ ბრეჯინევიჩის მიერ გამოკრული ჩვენი ტრაგიკული რეალობის გასათვალსაჩინოებლად – **იმიდებია საბარტოვილო, – დღეს ზუსტად ამ სახითაც მივრდებოდა და ასე სახეცვლილიც: იძირება საბარტოვილო.**

როსტომ ჩხეიძე

კაკალ გულში

- მანუელ ბაროზოს, ისევე დედ მაროზო სჯობდა. იმას ბავშვები ხედებოდნენ, საჩუქრები მოჰქონდა და სწეგურონკა მოჰყავდა.
- ამას პეტრიაშვილი ხედება, შტეფან ფულე მოჰყავს და საჩუქრები იქით მიჰქვს.
- იმისათვის, რომ მერე მოთქმა-გოდება არ იყოს, თვალში ნაცრის შეგრება არ იწუნუნოს მავანმა, იმისათვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს და შინდარჩენილ უბასუსხისმგებლობა სმებო არ მიიტაცონ უკვე საქვეყნოდ ცნობილმა ორმა მმართველმა ძალამ, არც ერთი შინ არ უნდა დარჩეს და თავისი უმთავრესი მოქალაქეობრივი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს – მივიდეს საარჩევნო ყუთთან და თავის თუნდაც მცდარი, მაგრამ არჩევანი დააფიქსიროს.
- იქამდე არ უნდათ მისვლა და მესიისა და სულელების გამოძახებას იწვევენ და ბაზალეთზე მიდიან აკვნის საძებრადა!
- ერის კიკუზიაცია-მამონიზაცია პიკს აღწევს უკვე!
- ერთად ვიზრუნოთ ბრაზილიის ნაკრებზე – იური ნიშიმურა!
- გახსოვთ ხო, ამას წინათ ობამამ რომ თქვა, საქარ-

წერტილოვანი ფრაზები

თველოს და უკრაინას ნატოში ვერ მივიღებთო? თუ ისევე მარტო ჩემმა ტელევიზორმა აჩვენა? ჰოდა, თუ გახსოვთ, მაშინ ეგებ გავაგებინოთ ალასანიას, რომ პოლიტიპატიმრები კი არ უშლიან ხელს ნატოში შესვლას, არამედ – აშშ და თვით ნატო. და კიდევ, ჯერ ერთი რაკეტისანიანადმდე-გო დანადგარების დადგამაზე მართლა მიმართე ვისაც ჯერ არს და ახლა გადათქვი, მიტომ რომ გაგწუნეს შიგნიდან და გარედან. ვთქვამთ და ვერ გაიგო რიგითმა მოქალაქემ, ტვინგაყინული უნდა ეძახო, შე პინგვინო?

- გუშინ, ძალადობის, ბოროტების და გარყვნილების ბუდეში, არგონავტების რიგებს მანუელ ბაროზო შეემატა.
- ამ ბუდის ბინადარმა, მარგველაშვილმა, მას ოქროს სარწმისის ორდენი გადასცა.
- ოდესღაც, ვინც ოქროს სარწმისის წაგვეგვარა, მისი დამსახურება კოლხების წინაშე იყო: ვერაგობა, სიცრუე, ღალატი, ქურდობა, გატაცება, მკვლელობა.
- ახალი არგონავტის დამსახურება ჯერ უცნობია.

- იაპონელმა მსაჯებმა მარაკანაზე მავთულხლართები გადმოწიეს.
- ეს მსაჯი, ადრე ზონდერი იყო!
- ამ ჩემპიონატის ყველაზე ტრაგიკომიკური დასასრული იქნება ფინალში ბრაზილია-ურუგვაი და ისევე რომ წააგოს ბრაზილიამ.
- თუკი სადმე წააწყდები ნაციონალების პლაკატებს, ჩამოხიე, ან რამე უმისგავსობა მიახატე!
- ყველა იმ მოგებული ფეხბურთის და არჩევნების დედა... სუდია და ცესკო რო მოგაგებინებს!
- ამოკრიბა ბიბ
- ბაბრიძეძე



მოგზაურობა 300 წლის შემდეგ



9 ივნისს სტამბოლის გავლით პარიზს ჩავფრინდით.

მინდოდა, რომელიმე მონასტერში დაე-
ბინავებოდა, როგორც სულხან-საბა
300 წლის წინათ, მაგრამ პარიზის წმინდა
ნინოს ეკლესიის მოძღვრის, მამა არჩი-
ლის მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მო-
ხერხდა. რა თქმა უნდა, დღეს პარიზი ის
არ არის, რაც იყო სამი საუკუნის წინათ.

10 ივნისს საქართველოს საელჩოში
შევხვედი საქართველოს საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთში
ეკატერინე სირაძე-დელიონს. ელჩი წი-
ნასწარვე ინფორმირებული იყო გრი-
გოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ამ
პროექტის თაობაზე და აქტიურად არის
ჩართული მისი ფრანგული ნაწილის გან-
ხორციელებაში.

მე მას გადავეცი საბა მოგზაურობის
ამსახველი საინფორმაციო გამოცემა და
დანვრილებით გავაცანი მოგზაურობის
მარშრუტი და ჩვენი პროექტის დეტა-
ლები. ქალბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა
პროექტის დიდ მნიშვნელობას და აქტუ-
ალობას, განსაკუთრებით ევროკავშირ-
თან ასოცირების ხელშეკრულების მო-
ახლოებული ხელმოწერის კონტექსტში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საელ-
ჩოს თანამშრომლები და დღეს პარიზ-
ში მცხოვრები ცნობილი ქართველი
ჟურნალისტი ბონდო ქურდაძე, რომე-
ლიც ჩემთან ერთად გაივლის მოგზაუ-
რობის სულ პირველ ეტაპს პარიზიდან
რომამდე.

11 ივნისი:

1) დღეს საქართველოს ელჩთან ერთად
ვერსალში უნდა წავსულიყავი. სულხან-

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში

საბა ორბელიანი ლუი XIV-ს სწორედ
ვერსალში შეხვდა, სადაც ის, მუხრან მა-
ჭავარიანის თქმით, „ალოდინეს და
მეთხოვეთმეც კაცად შევიდა“. სულხან-
საბა მართლაც კარგა ხანს ელოდა მე-
ფესთან აუდიენციას. ვერსალი 300
წლის შემდეგაც ვერსალია და ჩვენც
მხოლოდ მომავალი კვირისთვის შეგ-
ვირდნენ შეხვედრას. საქართველოს
დესპანმა გოჩა ჯავახიშვილმა დანვრი-
ლებით აუხსნა ვერსალის დირექტორს
ჩვენი მიზანი – მოგვეხილა ის დარბა-
ზები, სადაც ლუი XIV-ემ სულხან-სა-
ბა მიიღო და ჩვენი ვიზიტის სამახსოვ-
როდ ვერსალში ჩვენი მოგზაურობის
აღსანიშნავად მოოქროვილი მედალი
დაგვეტოვებინა. მე და საზოგადოებას-
თან ურთიერთობის ოფიცერი ავსტრი-
აში მივემგზავრებით დიდი ხელშეკრუ-
ლების გასაფორმებლად, – დირექ-
ტორს უთქვამს, – სხვებიც ამ კვირაში
ძალიან დაკავებული არიან და შემ-
დეგ კვირაში მობრძანდით. შემდეგ
კვირაში ჩვენი უკვე იტალიაში ვიქნებით.
ასე რომ, დამირჩენ ლუი XIV-ის სასახ-
ლის მცველები უმედლოდ. ამჯერად.
თორემ მე, ბუნებრივია, წყენას გულში

არ ჩავიდებ და მედალს ჩვენი ელჩის ხე-
ლით მაინც მივართმევ ვერსალს... ჩვე-
ნი არ შემდგარი ვიზიტის სამახსოვროდ.
თუმცა, რატომ არ შემდგარი ვერსალში
სალამოს მაინც ვიყავით. მართალია, გვი-
ანი იყო და ვერც სასახლეში შევედი და
ვერც ბაღში, მაგრამ სასახლის წინ ბრინ-
ჯაოს ცხენზე ამხედრებული ბრინჯა-
ოსავე ლუი XIV-ის წინ ფოტო მაინც გა-
დავიღე. ამ ფოტოზე ლუი ბევრად ახალ-
გაზრდაა, ვიდრე მაშინ იყო, სულხან-სა-
ბას რომ შეხვდა. ვერსალის სასახლესა და
ბაღებს 12 ივნისს დილით ვენვით და მერე
სამხრეთისაკენ დავადექით გზას.

2) როგორ შემეძლო, არ მესარგებლა
პარიზში ყოფნით და არ მომენახულე-
ბინა ასნიერის ძველისძველი ხიდი სე-
ნაზე, კურბევეუს საზღვარზე. ეს ადგი-
ლი დღეს დიდი პარიზის ნაწილია და
სან-დენის ემიჯნება. 1900 წელს სწორედ
ამ ადგილებში გაიმართა პარიზის საერ-
თაშორისო გამოფენის პროგრამით გათ-
ვალსწინებული ნიჩბოსანთა საერთა-
შორისო შეჯიბრება, რომელიც ამავე
დროს თანამედროვეობის მეორე ოლიმ-
პიადის ნაწილად შევიდა ისტორიაში.
სულხან-საბა თავისი დროის ერთ-ერ-

თი უგანათლებლესი ადამიანი იყო და,
რა თქმა უნდა, გაგებულნი ექნებოდა ან-
ტიკური ოლიმპიადების ამბავი. მაგრამ
იმას კი ვერ წარმოიდგენდა, რომ XIX სა-
უკუნის ბოლოს ფრანგი ბარონი პიერ დე
კუბერტენი ანტიკურ ტრადიციას ალად-
გენდა და თანამედროვე ოლიმპიადებს
დაუდებდა სათავეს, ხოლო ის ამბავი,
რომ თანამედროვეობის მეორე ოლიმ-
პიადაზე ნიჩბოსანთა შეჯიბრებაში ნი-
კოლაძის 12 წლის ვაჟი გიორგი ნი-
კოლაძე გაიმარჯვებდა, სულხან-საბამ
კი არა, არავინ იცოდა, სანამ გასული
წლის ბოლოს ჟურნალ „ოლიმპიელის“
36-ე ნომერში ჩემი გამოკვლევა არ
დაიბეჭდებოდა, სადაც ვამტკიცებ, რომ
1900 წელს გამარჯვებული, აქამდე „უც-
ნობ პარიზელ ბიჭუნად“ მიჩნეული
ოლიმპიური ჩემპიონი, სწორედაც გი-
ორგი ნიკოლაძეა. მე ვენვით იმ ადგილს
მდინარე სენაზე, სადაც ეს გამარჯვება
მოიპოვა გიორგი ნიკოლაძემ და იქ გა-
დაღებული ერთი ფოტო მინდა, ჩვენი
გვერდის მკითხველსაც შევთავაზო.
(ფოტო იხილეთ 1 გვერდზე).

საბაბა ნაცვლიშვილი



ალიანსალიანი

ეს მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის
ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ახალი სამხარეო ოფისი გა-
იხსნა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, გახსნის ოფიციალურ ცერემო-
ნიას სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დანელია, მინისტრის
მოადგილე დავით გალავაშვილი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწი-
ფო რწმუნებული – გუბერნატორი პარმენ მარგველიძე, სურსათის ეროვნული სააგენ-
ტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი, ევროკავშირის წარმომადგენლები, ადგილობრი-
ვი ფერმერები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

– მაღლობა მინდა, გადავუხადო შედეგების საერთაშორისო განვითარების სააგენ-
ტოს. სწორედ ალიანსალიანი სააგენტოს პროექტის, „სოფლის მეურნეობის განვითარე-
ბის შესაძლებლობა – საქართველო“ ფარგლებშია და დღეიდან ფუნქციონირებს და-
ინყებს სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ახალი
სამხარეო ოფისი. ადგილობრივი მოსახლეობა კონსულტაციებს და დახმარებას მიი-
ღებს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, მცენარეთა დაცვის საკითხებზე, რაც სოფ-
ლის მეურნეობაში დასაქმებული მენარმეებისთვის, ფერმერებისა და გლეხებისთვის
მნიშვნელოვანი ხელშეწყობაა, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

რეგიონული სამსახური რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში უზრუნველ-
ყოფს მავნე სურსათის გამოვლენასა და განადგურებას, ცხოველთა ჯანმრთელობის
დაცვას და ებიდაფეთქებების ლიკვიდაციას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაც-
ვას მავნე ორგანიზმებისაგან. ამი-
ერიდან ადგილობრივ მოსახლე-
ობას საშუალება ექნება, სრულ-
ყოფილად ისარგებლოს ყველა იმ
სერვისით, რასაც მას სურსათის
ეროვნული სააგენტო სთავა-
ზობს.

სურსათის ეროვნული სააგენ-
ტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო
სვანეთის რეგიონული სამმართვე-
ლოს ახალი ოფისის ჩათვლით,
საქართველოს მასშტაბით ეტა-
პობრივად 14 ახალი ოფისი გაიხ-
სნება.



ინტერპრესი

სვალ არჩევნები!

კენჭი, ჭკუა და სინდისი

„კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეაო“,
– ეს აკაკიმ თქვა, საქართველოს ბულ-
ბულმა, ვისი ნაგალობევიც („დედა-
შვილობამ ბევრს არ გახსოვ, შენს მინას
მიმბარეო...“) ქართველებმა პირდაპირი
მნიშვნელობით გაიგეთ და, კენჭს რომ
იყრიდა, ხმოსნად არ ავირჩიეთ.

დიახ, დიახ, ბულბული ხმოსნად არ
ავირჩიეთ.

ალბათ, იფიქრეს, ეს სომ არ უთხო-
ვიაო...

სვალაც არჩევნები.
საინტერესოა, აკაკი რომ გვყავდეს, ახ-
ლა როგორ მოვიქცევოდით?

აკაკი არ გვყავს, მაგრამ ეს „ხელს არ
გვიშლის“, არჩევანი დიდი რომ გვექონდეს.

თუნდაც თბილისის მაგალითი ავი-
ლოთ: რამდენი გვიმტკიცებს, დედაქა-
ლაქს მხოლოდ მე ვუშველიო, მათ შორის,
იმათი წარმომადგენელიც, თბილისის სა-
მუდამოდ რომ დაასახიჩრეს.

აუტანელი გახდა მათი დებატები. ის კი
არა, მათს შემხედვარეს (აქ წამყვანებიც
უნდა ვიგულისხმობ) ყოვლად კეთილ-
შობილი ბატებიც კი შეგვჯავრდებო...

კიდევ უფრო ძნელი კი იმის მოსმენაა,
„არჩევნების გაყვალბების მცდელობას“
სათუნა ბაღდ... უკაცრავად, გოგორი შვი-
ლი რომ აპროტესტებს – არჩევნების სწო-
რუპოვარ გამყალბებლად აღიარებული...
დებატებში, ძირითადად, სუთს იწვევდ-
ნენ – ნარმანას, მელიას, ლორთქიფა-
ნიძეს, უკუავას, ტყვამბაძეს.

საზოგადოებრივ მათემატიკაზე კი პირ-
ველი სამი მიიწვიეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავარი
ბრძოლაც სწორედ მათს შორის წარი-
მართება.

ეკა მიშველძის გადაცემაზე ბევრი რამ
თვალნათლივ წარმოაჩინა.

დებატები, ჩვენში, ერთმანეთის დადანა-
შაულებას გულისხმობს.

აქაც ასე იყო.

და სწორედ ამ ურთიერთდადანაშაუ-
ლებაში გამოჩნდა, ვინ ვინ არის და ვინ
უფრო ღირსეულია.

ლორთქიფანიძე (ბურჯანაძის გუნდი-
დან) ადანაშაულებდა „ქართულ ოცნე-
ბას“ იმაში, რომ დღემდე დაუსჯელია
ნაცმოძრაობის დანაშაული, ხოლო მე-
ლია (ნაცმოძრაობა) ლორთქიფანიძეს სა-
ლომე ზურაბიშვილის წინაშე ჩადენილ
ლალატს შეასწავებდა.

ასე რომ, მელიას სახით, ვხედავდით და-
უსჯელ დანაშაულს, ლორთქიფანიძის სა-
ხით კი – ლალატს.

ნარმანია ბუნებრივად რჩებოდა მომგე-
ბიან პოზიციაში, რადგან მისი გუნდის
დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ... დამ-
ნაშავე დაუსჯელი რჩებოდა...

ეს, რა თქმა უნდა, მცირე დანაშაული არ
არის, მაგრამ სვალმდელი არჩევნები
სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ
დამნაშავე რეჟიმს უკანასკნელი ბასტიო-
ნი გამოეცალა.

ამას კი ჭკუა და სინდისი სჭირდება.

სვალ გამოჩნდება, ამჯერად მაინც თუ
გვეყოფა ერთიც და მეორეც, ანუ ორივე
ერთად...

იოსებ ჭუმბურიძე

დედაქალაქი

„თბილისელის“ მეორედ დაბადება

ლირსშისანიშნავი თავგადასავალი ადგილად იქცა გასულ წლებში „ვარდების ბაღის“ (ყოფილი გორკის სახელობის) საზოგადოებრივი ცენტრის დაარსებით, სადაც მრავალგვარი მორჩილ თბილისელთა ერთობა შედგინდა...

საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელი“ საქართველოს კულტურის ფონდთან 1989 წელს, ქვეყნის თანამედროვე ისტორიის უაღრესად რთულ და უმნიშვნელოვანეს დროს შეიქმნა...

წლების მანძილზე „თბილისელი“ საქველმოქმედო და დიდად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა - ესმარებოდა მრავალშვილიან ოჯახებს...

1992 წელს „თბილისელის“ ქალთა საკრებულომ ქალბატონ ნინო კილუჩაძის თაოსნობით საქართველოს საზოგადოებრივი ოქროს ფონდი შექმნა...

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოება „თბილისელი“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა...

12 ივნისს „ვარდების ბაღში“ სწორედ საზოგადოება „თბილისელი“ აღორძინების სურვილმა შეკრიბა

უამრავი ჩვენი გამორჩეული თანამოქალაქე, რომელთა თავგადასავალი მამა ილიამ დალოცა.

დღეს აქ იმ თბილისელთა ერთი ნაწილი შეიკრიბა, რომელიც იმ წესებისა და ტრადიციების აღდგენაზე აპირებს ზრუნვას...

საზოგადოება „თბილისელი“ წევრმა, საქართველოს მორაგბეთა ფედერაციის თავმჯდომარემ გია ნიჟარაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ თავისთავად თბილისელობა რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია კი არა...

თითოეული ჩვენგანის წინაპრები საქართველოს რომელიმე კუთხიდან არიან ჩამოსულნი, ამდენად დედაქალაქზე ყველამ ერთიანად უნდა ვიზრუნოთ...

ამაღლებული განწყობით იყო გამორჩეული „თბილისელის“ სხვა წევრთა, კერძოდ, ჩვენი ცნობილი მომღერლების ლიზა ბაგრატიონისა და გიორგი ზვიციშვილის გამოსვლები...

საზოგადოება „თბილისელი“ აღორძინების უმთავრესი მიზნები ისაა, რომ დღესდღეობით დედაქალაქში ძალიან ბევრია ისეთი რამ, რასაც უშუალოდ



ამ ორგანიზაციის სათავეში იღმა ყველაზე უფროსი საზოგადოებრივი მოღვაწე, ჟურნალისტი ილია კვიციანი. მისი სახელთან არის დაკავშირებული უამრავი კეთილშობილი საქმიანობა...

თბილისელთა მიხედვით სჭირდება, თუნდაც არქიტექტორთა ლიცენზირება, რათა დედაქალაქს ბოლო დროს ასე მოძალბებული სიმახინჯეები მოშორდეს...

თქვენი მოზრძანება, ქალბატონებო და ბატონებო, იმ ნდობის დიდი ავანსიაა, რომელსაც დედაქალაქის მოსახლეობა საზოგადოების მიმართ იჩენს...

ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ყველა ერთად ვართ და ყველას ერთი იდეა გვაზოგადებს, - აღნიშნა საზოგადოების თავკაცმა.

ჩვენ გვსურს, ხელისუფლებას და მოსახლეობას შევთავაზოთ არსებული უმნიშვნელო პრობლემების გადაწყვეტის გზები და მათთან ერთად ვიმოქმედოთ ამ პრობლემების გადასაჭრელად...

ოთარ ტურაბაიძე
ილგუჯა ნაფარაძე



ალიანსიანი

გიორგი ზაქარაიძის პარტია არ არსებობს...

გიორგი ზაქარაიძის პარტია არ არსებობს, მას ერთჯერადად 20 000 ლარის ოდენობის თანხა 7 მაისს ჩაერთო მკურნალობისთვის, - ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული.

შს განცხადებით ესმარებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველ მოადგილეს - გიორგი ზედელაშვილს დიდი ოდენობის პრემია ჩაერიცხა.

მინისტრის მოადგილეს დიანოზის (სპონდილოარტროზი, მალთაშუა დისკოს თიაქარი, სმინალური არსის შევიწროება) დაზუსტების მიზნით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დასჭირდა საზღვარგარეთ დამატებითი გადაუდებელი კვლევა. აქვე აღვნიშნავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ ჯანმრთელობის დაცვის სამსახური ყოველდღიურად აფინანსებს თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა მკურნალობის ხარჯებს...

ლის მშობელი ყოველთვიურად - 200 ლარს, სუთი შვილის მშობელი - 300 ლარს, ექვსი შვილის მშობელი - 400 ლარს, შვიდი და მეტი შვილის მშობელი - 500 ლარს იღებს.

უნწების ინფორმაციით, ასევე მოქმედებს მინისტრის ბრძანება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების შესახებ. 1000-ლარიან იღებს დაქორწინების, შვილის შექმნის და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში.

ყოველთვიურ დანამატს და ერთჯერად დახმარებას შს სამინისტროს ყველა თანამშრომელი იღებს.

„გვ-ვ“-ის გენერალურმა დირექტორმა თანამდებობა დატოვა

ტილემპოშინიბ „გვ-ვ“-ის გენერალურმა დირექტორმა გრიგოლ ბაიბურთია დაკავებული თანამდებობა დატოვა. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა იმედა დარსალიამ დაუდასტურა. - ჩემი ინფორმაციით, მან განცხადება დაწერა წასვლის შესახებ, თუმცა, მოტივი არ ვიცი, - განაცხადა იმედა დარსალიამ.

სკოლი სოხიალური სახლის მშენებლობა დაიწყო

ბჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ საბაძე და აჭარის მთავრობის წევრები, დღეს, სულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში სოციალური სახლის მშენებლობას ჩა-

უფარეს საფუძველი. აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საბინაო პრობლემით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, სულოს მუნიციპალიტეტში, ეკომიგრანტებისთვის 72-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. 18-თიანი პროექტი 2015 წელს დასრულდება. სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს სამშენებლო კომერციული კორპორაცია „ნიდი“ შეასრულებს.

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საბინაო პრობლემით უზრუნველყოფის სამშენებლო პროგრამის განსახორციელებლად აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 12 მილიონი ლარი გათვალისწინებულია.

„სოციალური სახლების“ მშენებლობით მთავრობა შეძლებს, დააკმაყოფილოს: 2015 წელს - 84, 2016 წელს - 50 და 2017 წელს - 50 ჯამში კი 184 სოციალურად დაუცველი ოჯახი.

ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა სისხლი გაიღეს

სისხლის დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები იაშვილის სახელობის კლინიკის სისხლის ბანკში სისხლი ჩააბარეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ იაშვილის კლინიკიდან აცნობეს, კლინიკა „გაიღეს სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლეს“ ფარგლებში, ყველას მოუწოდებს, ჩაერთონ ამ აქციაში.

ამტორი ერთი კარგი წიგნისა, — „მზიანობა, საყვარელი ძაღვები“ — რომლის ცალკეულ მონაკვეთებს მკითხველებს დღეს ვთავაზობთ, არის შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, თანამედროვეობის წიგნების მძაბრე ავსაზეთში ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული, გონიერი და შორსმჭვრეტელი წარმომადგენელი, განათლებული და წიგნიერი ადამიანი, შესანიშნავი მეოჯახე, სამეცნიეროდ გაჩენილი კაცი, დიდებული თამადა და კოლორიტული პიროვნება **ლორენსო შარანია** — წლების მანძილზე „აფხაზურად“ ტრესტის მმართველი, აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი და საქართველოს დამსახურებული მედიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მედიკოსის კათედრის ყოფილი დოცენტი, აფხაზური „აფხაზური“ გაზრდილი ქვეშაირი კოლხი, ღირსების ორდენის და მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი.



რომ ისინი ეძებენ თავიანთი სახელმწიფოებრიობის ისეთ ფორმას, რომელიც მათ დემოკრატიული და, რაც მთავარია, დემოკრატიული ადორინების, ანუ გადარჩენის, თვით-შენარჩუნების მყარ გარანტიებს მისცემდა“.

ამ სიტყვების ავტორი, 80 წლის ბატონი ლორენსო, აფხაზეთიდან დევნილმა ადამიანებმა ერთხმად აირჩიეს საქართველოში შექმნილი უსუცესი საბჭოს თავმჯდომარედ, რომლის ძალისხმევითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს და წარმართოს კიდევ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენისა და, ღმერთმა ჰქნას, შერიგების პროცესი.

ბატონ ლორენსოს, — ამბობს წიგნის წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი იური პაპასქუა, — შეგნებულად ერთი სიტყვაც არ დასცდენია მძაბრე ავსაზეთში, ასე უმოწყალოდ, რომ დაგვაშორა სამარადეთოდ დანათესავებული, მხოლოდ ერთად ყოფნისთვის განწირული აფხაზი და ქართველი. მან მხოლოდ ის გაიხსენა, ლხინი და საწესარი ერთი რომ გვექნება, რაც გააახლოებდა და აჯერებდა ადამიანებს და ფიზიკურ სამყაროში

„დარწმუნებული ვარ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ოდესმე აღდგება, მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების, მეგობრობის, ერთიანი კულტურის, ტრადიციების პატივისცემის სწორუბოვარი პარმონია უკავალოდ არ გაქრება და წყენაც მიყურდება და დგარძლიც. ძველი ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ კეთილგანწყობით, მიმტყველებლობით, დიალოგით არის შესაძლებელი.“

დროა საჭირო! მაგრამ ამ დროის უფრო მთავარდგენილად ყველას, პოლიტიკოსი იქნება იგი, დიპლომატი და თუ საზოგადო მოღვაწე, უნდა ასსოვდეს, რომ აფხაზეთმა გაიარეს განვითარების რთული ისტორიული გზა, არაერთხელ მდგარან ფიზიკური განადგურების ზღვარზე. ამიტომაც, დღევანდელ რთულ სიტუაციაში სრულიად გასაგები და მართლზომიერია,

მოულოდნელობებით აღსავსე ისედაც ხანმოკლე ყოფას“.

დარწმუნებული ვარ, აფხაზეთისა და აფხაზეთისადმი ის დიდი სიბოძო და სიყვარული, ამ შესანიშნავი წიგნის ყოველი გვერდიდან რომ იგრძნობა, ერთი პატარა ნაბიჯი მანც იქნება საბოლოოდ მართლაცდა „მხოლოდ ერთად ყოფნისთვის განწირული აფხაზისა და ქართველის“ შერიგება-დაახლოების გზაზე.

მაშ, ჩვენც, მკითხველმაც და, საერთოდ, ყველამ, გადავდგათ ის ბირველი პატარა ნაბიჯი ამ გზაზე — ღაზიბრუნო, შონარაბსა, აფხაზეთში და მარა აფხაზეთშიც ღაზიბრუნდებო.

აფხაზური ეტიკეტი

ზრდილობიანი და პატივისცემის გამოხატვები მანერები, თავდაჭერილი და მოკრძალებული იერი ამტიკებს, რომ ამ ერს წესიერების რაღაცნაირი ინტუიციური გრძნობა და თანდაყოლილი ღირსება აქვს. სუფრაზე რამდენი ღვინოც უნდა დაილიოს, ის მხოლოდ გამოცოცხლებას იწვევს და არა თრობას.

ნარლბ სარანია.
(იტალიელი მკვლევარი, რომელმაც აფხაზეთი 1880-1882 წლებში მოინახულა).

ლორენსო შარანია:

ჯერ აფხაზები მერე აფხაზეთის

აფხაზური ეტიკეტის ყველა წესისა და მოთხოვნის შეუცდომლად და ზედმინევიტ დაცვა აფხაზისთვისაც კი რთულია, თუ მას ეს დედის რძესთან ერთად არ შეუთვისებია და ისეთ გარემოში არ გაზრდილა, სადაც ამ ტრადიციებს მკაცრად იცავდნენ.

აფხაზებს შორის გაზრდილმა სხვა ერის წარმომადგენელმა, რომელმაც აფხაზური ეტიკის მოთხოვნები იცის, შესაძლოა, ნაწილობრივ შეითვისოს ისინი და მათ დაცვას ეცადოს. უცხო კი, ჩრდილოეთიდან იქნება ის მოსული, სამხრეთიდან, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, მათში კარგა ხანს ვერ გაერკვევა. ამ ადრე-წინების შესრულებაზე, შეფასებაზე და ღრმა აზრში წვდომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გამოგნებელია, საიდან მოსდგამს ამ მცირერიცხოვან ეთნოსს უძველესი ანტიკური ხალხებისთვის დამახასიათებელი მაღალი ზნეობის მატარებელი ტრადიციები, ან როგორ გაუძლო ყოველივე ამან საუკუნეებს...

რამდენჯერ მიმიცია გასაქანი ჩემი ფანტაზიისთვის: აი, რომ შეიძლებოდა ყველაფრის უცვლელი სახით შემონახვა, როგორც მაღალი მორალის, პატივისცემის, სტუმართმოყვარეობის ნიმუშისა, ბოლოს და ბოლოს, ზნეობრივი დახვეწილობის ერთგვარი ნაკრძალი...

სამწუხაროდ, ჩვენამდე მოსული ინფორმაციები იმაზე მეტყველებს, რომ ყოველივე ეს წარსულს ბარდება, რაც განუყოფელია დასასრულის დასაწყისისა. თითოეულ ერს ხომ თავისი მენტალიტეტი, თავისი სიმბოლიკა აქვს: გერმანელებს დისციპლინა და წესრიგი ახასიათებთ, იაპონელებს — შრომისმოყვარეობა, ამერიკელებს — გერგილიანობა, ფხიანობა... აფხაზებს — ალაპასი, ანუ ზნეობრიობა, მორალურობა, სინდისიერება და ა.შ. მათი დაკარგვით ერი საუკუნეების მანძილზე ნაკონინებ სახეს, არსს, მენტალიტეტს კარგავს...

არადა, თითოეული ერის წარმომადგენლები, ისევე როგორც ცალკეული ადამიანები, ხომ თავისუფლად შეუძლებენ, მიირთმევენ, ოჯახის უფროს თუ უმცროს წევრებთან ურთიერთობენ. სიარულის მანერაც კი ყოველ მათგანს მისთვის დამახასიათებელი აქვს.

გარდა იმისა, რომ აფხაზებთან ნათესაობა მაკავშირებს, იცი წლის განმავლობაში აფხაზურ დასახლება ტამიში ვმუშაობდი. ასე რომ, აფხაზს უკვე იმითაც კი ცნობდი, ჩვენი სამშენებლო სამმართველოს კიბეზე როგორ ამოდიოდა, რანაირად გვესალმებოდა, ჯდებოდა, საუბარს როგორ წარმართავდა...

რამდენჯერ შემოსულა ჩემთან ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც სახლზე, ოჯახზე, სამსახურზე, გამიბამდა საუბარს, თან კი იშმუშნებოდა. ვგრძნობდი, რაღაცის თხოვნა უნდოდა, მაგრამ არ შეეძლო, რცხენოდა... მეერ კი სხვებისგან ვიგებდი ხოლმე, რამ მოიყვანა ჩემთან. აღმოჩნდებოდა, რომ მხოლოდ ერთი-ორი ტომარა ცემენტი ან ერთი მანქანა ხრეში სჭირდებოდა. მაშინ ეს ჩემთვის ადვილი მოსაგვარებელი იყო, მაგრამ ამ ხალხს რაიმეს თხოვნა ძალიან ურიდებოდა. ისინი მაღლიერებასაც ღირსეულად და, თანაც, საოცარი მონიერებით გამოხატავდნენ...

ბაზარში აფხაზ კალს უცვლდ ამოიცნობთ, როგორ წესი, ის მყიდველთა ნაკადის მიმართ გვერდულად დგას, ერიდება... მართალია, ბაზარში გაჭირვებამ მოიყვანა, მაგრამ რცხენია იმის გაყიდვა, რაც ტრადიციულად ოჯახისთვის და სტუმრებისთვის იყო განუთვნილი... * * *

მრთხალ ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან ვხედავ: თვით თემურ ბორგანჯია მიდი-მოდის ჩვენი სამმართველოს ეზოში,

თემურ ბორგანჯია არა მხოლოდ ტამიში, არამედ მთელ აფხაზეთში ცნობილი და პატივისცემი პიროვნება გახლდათ. მაღალი, წარმოსადგეი, ცისფრთვალა მამაკაცი იყო, ბრძენი და სიტყვატუნნი, ანტიკურ გმირებს მოგავონებდათ. აფხაზი უხუცესებისადმი მიძღვნილ ფილმიც კი გადაიღეს, ახლაც მახსოვს ის კადრები: სოხუმის სანაპიროს მიუყვება და პლაჟზე განოლილ ლამაზმანებს ეშმაკურად გასცქერის...

როგორც კი დავინახე, ელვის სისწრაფით ჩავიბრინე ქვემოთ ჩვენს პარტორ გნიკოლოზ კობახიასთან ერთად. დავინწყე საუბარი, თემური მხოლოდ აფხაზურად ლაპარაკობდა. ფრთხილად ვცდილობდი, გამერკვია, რამ მიიყვანა ასეთი პატივისცემი ადამიანი ჩვენს მოკრძალებულ დაწესებულებაში. პასუხად სტუმარმა გვეთხრა, რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოებს სოფლისა და მთლიანად აფხაზეთისთვის. მან კეთილგანწყობით მოიხსენია ახალგაზრდა ხელმძღვანელი (მაშინ მხოლოდ 28 წლის გახლდით), შემდეგ კი დასძინა, რომ ჩვენი ვენახისა და მანდარინის ახალი ბაღის გაშენების შესახებ სმენია და მათი დათვალიერება ისურვა. ვგრძნობდი, რომ მთლად ასე არ იყო საქმე... სასწრაფოდ გავეცი განკარგულება, რომ მუშათა სასაბუღალტო სუფრა გაეშალათ და თანდათან, „შემოვლითი გზებით“ დავადგინე მისი „ექსკურსის“ მიზენი: თურმე თავის საკარმიდამოში ჭიდან წყლის საქაჩი ტუმბო გაჭუჭყებია.

სტუმარს მოკრძალებით შევთავაზეთ, რომ ბაღიც და სამმართველოს შენობაც დაეთვალიერებინა, თან კი ნელ-ნელა გაშლილი სუფრისკენ ვიტყუებდით. საუბარში დრო გავიდა, სამუშაო დღეც დამთავრდა. ჩვენს სტუმარს ტუმბო არც კი უხსენებია, ჩვენ — მით უმეტეს, ბოლოს, ყველაფრისთვის მადლობა გადაგვიხადა და დამშვიდობება დააბიარა, მე და ნიკოლოზ კობახიამ ვთხოვეთ, ჩემს სამსახურებრივ მანქანაში ჩამჯდარიყო და ცოტათი შეუყუყუნებული გავისტუმრეთ სახლში. იქ კი ჩვენმა ზეინკლებმა ტუმბო შეუკეთეს და ჭაზეც დაუმონტაჟეს.

საუბლიერების ნიშნად, თემურ ბორგანჯიამ ორმოცდაათკაციანი ვახშამი გამართა. სუფრასთან ისხდნენ მისი დისშვილი, ცნობილი მწერალი გიორგი გულია, ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელი ივანე ამიჩა, სოფლის საპატიო მცხოვრები, მისი სიძეები (თემურს ვაჟი არ ჰყავდა) — აფხაზი ყურნალისტები, მწერლები, შალიკო კამკია და მუშენი მიქაეა... ყველას რა ჩამოთვლის!

ერთი რამ კი განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო: სუფრასთან ტუმბო და ჭა არავის უხსენებია.

აფხაზეთში ცნობილი მწერალი ბორის გურგულია მშობლიურ სოფელ კვიტოულში — გამოჩენილ ადამიანთა აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სამჭედლოში — ახალმოსახლეობას აღნიშნავდა. როგორც აფხაზეთშია მიღებული, მისი მოვლილი ეზო-მდლოს სიღრმეში ლამაზი, კაპიტალური სახლი იდგა სტუმრების მისაღები დიდი დარბაზით.

სუფრა უკვე აიშალა და ყველა ეზოში გავიდა, სადაც, როგორც წესი, სტუმრებთან დამშვიდობების ცერემონია გრძელდებოდა. მე რატომღაც ვზოზინობდი, როცა მიმიჯიხედე, სუფრასთან ჩემ გარდა არავინ იყო, არ ვიცოდი, სამი კარიდან რომელში გავსულიყავი, არადა მერიდებოდა — ვაითუ, იქ მოვხვედრილიყავი, სადაც საჭირო არ იყო.

ამ დროს დიასახლისი შემოვიდა. მან შემაბყო, რომ დაბნეული ვიყავი და თავაზიანად მითხრა:

— თქვენი მეგობრები იქით გავიდნენ, — და კეთილგანწყობილი, ღიმილიანი მზერით სათანადო კარისკენ მიმანიშნა.

მოგვიანებით მის ასეთ ქცევას გონებაში ვაანალიზებდი: ხომ შეიძლებოდა, ხელით ეჩვენებინა გასასვლელი, მაგრამ ამით იმას მაგრძნობინებდა, რომ მე, სტუმარმა, ვინც აფხაზებისთვის, თითქმის უფლის მოციქულის ტოლფასია, არ ვიცოდი, კარი სად იყო! რომ გავეცილებინე, ეს უკვე იმის ხაზგასმა იქნებოდა, რომ იმდენად მთვრალი ვიყავი, დამოუკიდებლად ოთახიდან გასვლასაც ვერ ვახერხებდი. ბოლოს კი მივხვდი, რომ იმ ქალბატონისთვის ამგვარი საქციელი სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ისე გახლდათ აღზრდილი, სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა...

* * *

მე და ვიქტორ ხიუბა (ღმერთმა აცხონოს)! ოჯახებითურთ, ბიჭვინთაში მცხოვრებ მის მამას — ბრძენ და ორატორ დოროთეს ვენვიეთ.

სუფრაზე ვიქტორის ან გარდაცვლილი დედის შესანდობარი რომ დაილია, დოროთემ გაიხუმრა: „როცა ავადმყოფობდა, ჩემებურად ვმკურნალობდი — სტუმრები მომყავდა და ისიც უკეთ ხდებოდა!“

უინაურ მღვდელს უნდობა არა აქვსო

ქნაშაღ თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონია გარკვეულ პერიოდში აფხაზეთის ბირველ პირთან, ალწინებლ ბგაუბასთან და მას კეთილი ღიმილით, უფრო მეტიც, თანდათანობითა და მადლიერებით არ მოიხსენებს.

ეს გახლდათ ბრწყინვალე გარეგნობის, გულგახსნილი და უშრეტე იუმორის მქონე, თანაც, ძალზე განათლებული ადამიანი. ოპონენტები ბგაუბას აფხაზეთში ძირითადად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მან, როგორც სსრკ-ის მაშინდელი ყოვლისშემძლე ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის მეგობარმა, არ გაიზიარა ამ უკანასკნელის საკმაოდ აშკარა მიწინააღმდეგობით აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების შესაძლებლობაზე. როგორც ეს მაშინ ზოგიერთებს ეჩვენებოდათ (და ახლაც ეჩვენებათ), საქმის ამგვარად წარმართვა აფხაზი ხალხის ინტერესებში შედიოდა, რაც ბატონმა მიხეილმა ვერ გაითვალისწინა, ან ამის გაკეთება არ ისურვა.

მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მიხვდა მსოფლიო რომ ნიკიტა ხრუშჩოვი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, უბრალოდ, ბრყვი იყო და საბჭოთა კავშირის დაშლასაც, ფაქტობრივად, მან დაუდო დასაბამი: უჭკუო და პოლიტიკურად ბეცი ადამიანი თუ არა, წინასწარ ვინ ვერ განჭვრეტდა, რომ ჩირქოცხებული და ნაბილწული სტალინის კვალდაკვალ კვარცხლბეკიდან ლენინსაც ჩამოაგდებდნენ, ამას კი პარტიაც თან მიჰყვებოდა და მთელი სახელმწიფოც?

მიხეილ ბგაუბას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ხრუშჩოვის გაუღენის ქვეშ კი არ მოექცა და მისმა ძლევაშობილებამ კი არ შეაშინა, არამედ ადრევე ჩანვდა მის მახინჯ სახელმწიფოებრივ აზროვნებას და იმპერიულ ზრახვებს. მართალია, რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, თავისას მიაღწია და, რაც უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ამაში თბილისსაც, არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის. ასე რომ, მიხეილ ბგაუბას საყვა-

რელი სამშობლო დროთა განმავლობაში თუ საბოლოოდ აითქვინება ვეებერთელა უცხო გარემოში, აფხაზეთის მკვიდრი, უპირველესად კი თავად აფხაზები, კიდევ ბევრჯერ მოიგონებენ მას კეთილი ღიმილითა და ნოსტალგიით.

როგორც ჩანს, თავისი მალალი სამრეკლოდან, უზარმაზარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიხეილ ბგაუბა სხვებზე მეტსაც ხედავდა და უფრო შორსაც იყურებოდა. ამიტომაც ცდილობდა იგი თავისი მრავალტანჯული, პატარა სამშობლოსთვის, ამ ერთ აუნერული სილამაზის მქონე მინისთვის შეენარჩუნებინა ის აუნერული საარსებო გარემო, რომელიც მისი ხალხის მენტალიტეტთან უფრო ახლოს ეგულებოდა.

მიხეილ თემუროვიჩი პარტიული კი არა, ჭეშმარიტად სახალხო ხელმძღვანელი იყო, რასაკვირველია, როგორც ყველას, მასაც ასევე ახასიათებდა დიდი თუ პატარა სისუსტეები, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ გახლდათ. მაგრამ ამასთან ბრძენი, შორსმჭვრეტელი, კეთილი, მიმტევებელი პიროვნება იყო - სიყვარულიც შეეძლო და მიტევებაც, მეტად ჩახლართული სიტუაციებიდან მარტივი გამოსავლის პოვნის საოცარი ნიჭი ჰქონდა და ხშირად, თითქოსდა გადაუჭრელი სამეურნეო თუ ეთნიკური სასიათის პრობლემების დროს, მშვიდად, ყოველგვარი ხმაურისა და ყვირილის გარეშე, ღიმილითაც კი, პოულობდა სწორ გადაწყვეტილებებს.

P. S. ძირძველ აფხაზს, აფხაზეთის შეილებთან დანათესავებულ-დამეგობრებულს, ბუნებრივია, უმიმის მის გარეშე, მაგრამ სამშობლოს შემაშფოთებელი მომავალი კიდევ უფრო მტანჯველია.

მაშ რისთვის ვიბრძოდით?

ეს მანდილოსნებს სურდათ

ინგიშტერმა ერთ წვეულებაზე დააგვიანა. როდესაც შევიდა, უფროსი ადამიანის პატივისცემის ნიშნად, წესისამებრ, ყველა წამოდგა და სტუმარი თავისი ასაკისა და მდგომარეობის შესაფერის საპატიო ადგილას დასვეს. ინგიშტერმა დაგვიანების გამო მოიბოდიშა, და სუფრის წვერთა მისაღებების ნიშნად, ღვინით სავსე ჭიქა ასწია, ჭიქა საკმაოდ ეპატარავა და მასპინძლებს მიმართა:

- ოჯახში უფრო მოსახერხებელი ჭიქები ხომ არ გაქვთ?
- მანდილოსნებმა იმეხეს, რომ სწორედ ეს ჭიქები მოგვეტანა სუფრაზე, - განმარტა თამადა.
- ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, პატივცემული თამადა, რომ ამ სუფრაზე დავანყო ყველაფერი ის, რასაც მანდილოსნები ისურვებენ! რას დაემსგავსება მაშინ ჩვენი ქეიფი? - დაუფიქრებლად გაუბრალოდა ინგიშტერმა და თან უღვაშებში ეშმაკურად ჩაიცინა.

სკლეროზი

ინგიშტერი ჰყვებოდა ექიმთან ვიზიტის ამბავს, რომელმაც გასინჯა და უთხრა:

- სკლეროზი გაქვს, ძვირფასო ინგიშტერ!
- სკლეროზი? - ჰკითხა მან - ეს რაღაა?
- ახლავე აგისხნი: მაგიდაზე 10 მანეთი წინასწარ დამიდე, თორემ წასვლისას სკლეროზის გამო დაგავინყდება.

დავიბრუნოთ და დაგვიბრუნდება!

ლენინის პორტრეტის ქვეშ?

აფხაზეთის ლენინდარული ხელმძღვანელი, მეცნიერი, უკვე საპენსიო ასაკში გადამდგარი მიხეილ თემურის ძე ბგაუბა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორი გახდა.

ერთხელ, როდესაც მიხეილი სამსახურებრივი მივლინებით თავის საყვარელ ლენინგრადში იმყოფებოდა, ვიღაცამ ინსტიტუტში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერს, თანამშრომელ ქალთან ერთად, დირექტორის კაბინეტში, დივანზე, პირდაპირ ლენინის პორტრეტის ქვეშ სასიყვარულო ალერსისას შეუხსნო. სამუშაო დროს მსგავსი ქმედება, ახლანდელი თავისუფალი ზნეობის პირობებშიც კი ანტისაზოგადოებრივად მიიჩნევა, მაშინ კი ეს ნამდვილი კატასტროფა იყო.

ახალგაზრდა მეცნიერების ამ საქციელს აქტიურად განიხილავდნენ დერეფნებში, სიგარეტის მოსანეე ადგილებში და ინსტიტუტის თანამშრომელთა თავშეყრის სხვა ადგილებში. გასაგები იყო, რომ საზოგადოებრივი მორალის დამრღვევები მთელი სიმკაცრით უნდა დასჯილიყვნენ - პარტიიდან გაეერთინებინათ, სამსახურიდან დაეთხოვათ, ან კიდევ სხვანაირად გასწორებოდნენ. მაგრამ საკადრო საკითხებს დირექტორის გარეშე, ბუნებრივია ვერავინ გადაწყვეტდა, ასე რომ, კოლექტივი მოთმინებით დაელოდა ხელმძღვანელის დაბრუნებას.

პარტიის დახურული კრების დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა: ორი ახალგაზრდა თანამშრომლის ამორადური ქცევის შესახებ. ხომ წარმოგიდგენიათ, რას ილაპარაკებდნენ ამ კრებაზე და რას მოითხოვდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები, ეს პირობითი „კურდღლები“, „მელაკუდები“ და „გველები“. თუმცა, ბოლო სიტყვა, უდავოდ, „არწივს“ ეკუთვნოდა.

- ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერების უღირსი საქციელის ამბავი ოქტომბრის რევოლუციის აკვანში - ლენინგრადში სამსახურებრივ საქმეებზე ყოფნისას შევიტყვე, - დაიწყო თავისი გამოსვლა დირექტორმა, - ისინი ჩვენ თვალწინ გაიზარდნენ, ანა ერთი და ორი წლის განმავლობაში გზრდიდით მათ სათუთად. ამიტომ, დამეთანხმეთ, ღირსეულ შემცველებს ასე ადვილად ვერ მოუფიქრებთ. მამაკაცსა და ქალს შორის ოჯახში, სამსახურში, საზოგადოებაში ურთიერთობის საკითხებზე საუკუნეების მანძილზე იმტვრევდნენ თავს ბრძენი ამა ქვეყნისანი. ალბათ, ძნელია, თუკი საერთოდ შესაძლებელია ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად უნაკლო პიროვნების მოძებნა, რომელსაც შეუძლია, ყოყმანის გარეშე ესროლოს ქვა ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებს. ადამიანი თავისი ბუნებით სუსტი და ცოდვიანია, ჯერ კიდევ 2 500 წლის წინათ ამბობდა ბრძენი სოკრატე: „ვნება ადამიანის ნებისყოფაზე და გონებაზე ძლიერიაო.“ ბიუროს დადგენილებებითა თუ გადაწყვეტილებებით ვნებას ვერ აკრძალავ, ყველა ბიუროზე მალაქმა - სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ აკრძალა ღვინისა და არყის სმა, მაგრამ ადამიანებმა ამით სმა შეწყვიტეს? ეს შეიძლება ითქვას, ამ სამწუხარო შემთხვევაზეც, რომელმაც ჩვენს სახელოვან კოლექტივს ნამდვილად ჩრდილი მიაყენა. მომხდარის, თუ გამართლება არა, ყოველ შემთხვევაში, რაღაცნაირად ახსნა მაინც შეიძლება, თუმცა, პირადად მე, ერთი რამ ვერ გამოვიცხადებ, როგორ გაბედეს ამის გაკეთება ღვინის პორტრეტის ქვეშ?! ამიტომ, ჩვენი საზოგადოების გაკიცხვა მათ კარგ გაკვეთილად გამოადგებათ. თანაც, იმედია, მთელი ცხოვრების მანძილზე!



ლორენსო შარანბიას ოჯახი (ახალგაზრდობის-დროინდელი ის ფოტოდა შემორჩა აფხაზეთიდან დევნილ თავის საოჯახო ალბომში).

ღვინო კალოში არ არის

ინგიშტერს სტუმრები ჰყავდა, გახურებული ქეიფის დროს, მოულოდნელად ღვინო გამოვლიათ, მასპინძელმა ცოლი მალაზიში გაგზავნა.

- რა ნომერი მოგიტანოთ? - ჰკითხა მეუღლემ (მაშინ, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ღვინოს ნომრების მიხედვით ახარისხებდნენ).
- ქალო, რად გინდა ნომერი? კალოშების საყიდლად ხომ არ მიდინარ? ღვინო მოგიტანე, თანაც საუკეთესო!

უაშუი ანაზე

ვფიქრობ, არც ერთი გარეული ფრინველი ისე ახლოს არ დგას ადამიანთან, როგორც შაში. მისი ხასიათი კი ჩვენსა ჩამოგვს: მოუსვენარია, ცაში ფრენისასაც მარდია და მიწაზეც უცებ შეუძლია პოზიციის შეცვლა. ალბათ, ყოველივე ეს შაშის ცხოვრებამ ასწავლა. ჩვენ კი, ცოდვა გამხელელი სჯობს და, თავს უფლებას ვაძლევთ, შაშებზე ვინადიროთ, იარაღითაც, შურდულითაც, ხანდახან ქეითაც კი...

შაშმა გალობაც განსაკუთრებული იცის! მავანი იტყვის, ბულბულს მაინც ვერ სჯობნისო, მაგრამ ეს უკვე გემოვნების საკითხია: ვილაცას საოპერო არიები მოსწონს, სხვას - ხალხური სიმღერები, მე ხალხური მირჩვენია.

ქართულ პოეზიაში, ფოლკლორში შაშისადმი მეტი სტრიქონია მიძღვნილი, ვიდრე ბულბულისადმი, რომელ ჩვენთაგანს არ ახსოვს, თუ როგორ იწყება ჩვენი ხალხური ზღაპრები: „იყო შაში მგალობელი, ღმერთი, ჩვენი მწყალობელი...“

აფხაზეთის სახალხო პოეტის ივანე თარბას შესანიშნავი ლექსიც მასხოვს, რომელიც შაშის ეძღვნებოდა.

სოხუმის მთაზე ბევრი შაში ბინადრობდა. ძალიან მიყვარდა შაბათ-კვირას იქ ასვლა: სოხუმის მთის კალთის ძირას სახლის მშენებლობა შემთხვევით კი არ დამინყია...

მთაზე ოჯახის წევრებიც ამყავდა, ხანდახან ძალითაც კი, ტკბილია აკრძალული ხილი - ახლა კი მოინდომებენ იქ ასვლას, მაგრამ...

მთაზე ჩვენი საყვარელი ადგილიც გვექონდა შეგულებული, საიდანაც შესანიშნავად მოჩანდა ქალაქი, ზღვა, პორტიც...

ჩვენს სოხუმელ შაშეს სრული ბედნიერებისთვის ყველაფერი ჰქონდა: დიდებული და მრავალფეროვანი სუბტროპიკული მცენარეული საფარი - ნაირ-ნაირი ხეები, ხშირი ბუჩქები, სადაც პირსაც ჩაიტკბარუნებდა და თავის ბუდეს, გულსისწორს, ბარტყებს უამინდობასა და მტრის თვალსაც მოარიდებდა...

ნეტავი თუ აცნობიერებდა მაშინ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი „ჩიტური“ ბედნიერება? არადა, ყველაფერი ისეთი ჩვეულებრივი ჩანდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო... საბრალოს, ალბათ, ეგონა, ქვეყნად ყველა შაში ასეთ პირობებში ცხოვრობსო...

ერთხელ ქალაქში რაღაც შფოთიანად დაჰბერა ქარმა და ბუჩქებიცა და საუკუნოვანი ხეების ტოტებიც მიწას გაართბა. ის იყო, ჩვენმა სოხუმელმა შაშმა გაიფიქრა, სად დავემყოფო უამინდობასო, რომ პორტი უზარმაზარ, ლამაზ გემს მოჰკრა თვლი. ჰოდა, გემზე აღმართულ ანძაზე შემოჯდომამა გადაწყვიტა. იქ ქარი ასე ძლიერ არ უბერავდა, ანძის სიმალიდან გადაშლილი საყვარო კი უცნობი და საინტერესო ჩანდა. ირგვლივ ცნობისმოყვარე მზერის ცეცებაში შაშმა ვერც კი შენიშნა, როგორ გავიდა გემი ღია ზღვაში. რამდენიმე ხანში, წყლის გარდა, გარშემო ვეღარაფერი დაინახა. არა უშავსო, გაიფიქრა შაშმა, გადავიღის უამინდობა, შემდეგ კი კვლავ ჩემს ბუდეს დაუბრუნდებიო. თუმცა, ასე მარტივად როდი იყო საქმე! როდესაც შაშმა დაბრუნება გადაწყვიტა, აქეთ ეწა, იქით ეწა, მაგრამ ვეღარც ნაცნობი ხეები აღმოაჩინა და ვეღარც ის ბუჩქი, სადაც მისი თბილი ბუდე იყო ჩამალული, რადგან მიწა საერთოდ აღარ ჩანდა, თითოეული გაფრენისას ანძაზე დაბრუნებას ჩქარობდა და მისი დაკარგვისაც ეშინოდა!

თანადაც უნდა ცხოვრებას როდი იყო მორგებული! განა ზღვაზე ფრინველები არ ცხოვრობდნენ? რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი სულ სხვანაირები იყვნენ, სულაც არ ჰგავდნენ იმას, ვისაც ის შეჩვეოდა, ვისთან ერთადაც გაიზარდა და დავაჟაცდა, ვისთანაც მეგობრობდა, ისინი სხვანაირად დაფრინავდნენ, სხვანაირად დადიოდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ, გალობდნენ... ყველაფერს სხვანაირად აკეთებდნენ!

შაშმა არაერთხელ მოიკრიბა ძალა, მიიფრინა-მოიფრინა არემარე მშობლიურ მხარემდე მიღწევის იმედით, მაგრამ მიწა მაინც ვერ აღმოაჩინა და კვლავ ანძაზე დაბრუნდა, რომელსაც უკვე შეჩვეოდა კიდევ. დროთა განმავლობაში კი ანძა მისთვის თითქმის მშობლიური გახდა და იმაზე ფიქრიც კი დაიწყო, რომ მისი მდგომარეობა არც ისეთი საშინელი იყო...

სულის ტკივილი

ბორშნიც და ტოლმაც ყველასათვის კარგად ცნობილი კერძებია, ალბათ, ბევრად უფრო ცნობილია, ვიდრე ღომი, ლობიო და აჯიკა, მაგრამ ისინი გენეტიკურად მშობლიური არ არიან ჩვენთვის. მაგალითად, ჩემს შვილს შვილმა თათას, მარიამს, ანას, ირმას, ლორენცოს, სანდროს, ლუკასა და საბას აფხაზეთი არც უნახავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ვერ ძლებენ ღომის გარეშე.

ამავე დროს, იმავე ივანოვებისა და პეტროსიანებისათვის, რომლებიც აფხაზეთში დაიბადნენ, ღომი და ლობიო ვერ გახდნენ „მშობლიურები“, სწორედ ისევე, როგორც ჩვენთვის - ბორშნი და ტოლმა. მართალია, ორივე სასიამოვნოა, მაგრამ მაინც - შორეული.

ასევე ძნელი წარმოსადგენია, აფხაზი და ქართველი ქალების გარდა რომელი ეროვნების ქალები იხოკვენ გლოვისას ლოყას და რომელი სხვა ერის მამაკაცები, გარდა ასევე ქართველებისა და აფხაზებისა, იცემენ მჯიღს მკერდში სატირალში?.. და კიდევ - აბა, ვის, ვის აქვს ისეთი სულის შემძვრელი, აფხაზეთისა და მეგრელებისათვის გულში ჩამწვდომი, საერთო სიმღერა, როგორც „ვარაიდა-რაიდაა“?

ეს ყოველივე ასეა, ასე, მაგრამ ახლა, როგორც ჩვენი ხალხები დაშორდნენ ერთმანეთს, მეც დაშორდი ჩემს მთავარ სათქმელს... მტკივა სული, დროგამოშვებით მოთქვამს ის კიდევ...

* * *

დარწმუნებული ვარ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ოდესმე აღდგება. მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების, მეგობრობის, ერთიანი კულტურის, ტრადიციების პატივისცემის სწორუპოვარი ჰარმონია უკვალოდ არ გაქრება და წყენაც მიყურდება.

ძველი ურთიერთობების აღდგენა მხოლოდ კეთილგანწყობის გამოვლენით, ურთიერთმიტევებით, დიალოგით არის შესაძლებელი.

დროა საჭირო!

დასანანია, რომ ჩემი თაობა ამას ვერ მოესწრება. ურიგო არ იქნებოდა, ახალგაზრდებმა ჩვენი ადამიანების შესახებ ერთი იცოდნენ, ახსოვდეთ, რომ აფხაზები გამძაფრებული ეროვნული და პირადი ღირსების, პატრიოტიზმის მატარებელი ვართ, რომელსაც განსაკუთრებულად აქვს განვითარებული ზნეობრივი სანყისი (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო!). აფხაზები დიდად აფასებენ გულწრფელობას, ზრდილობას, გულღიანობას, სამართლიანობას, სიტყვის კაცობას.

ისინი სხვებს მოწინებიათ და პატივისცემით ეყვრობიან. მათგანაც ამდგავარ დამოკიდებულებას ელიან და მოითხოვენ კიდევ.

ცხოვრებაში და, უდავოდ, პოლიტიკაშიც, ეტიკეტის, რიტუალის, ერის ტრადიციების დაცვა პატარა საქმე როდია, ისტორიას ამის ურიცხვი მაგალითი ახსოვს. მხოლოდ ერთს გავიხსენებ: ბოლო წვეთი, რომელმაც რომის სენატორები აიძულა, შეთქმულებთან შეკრულიყვნენ და კეისარი მოეკლათ, ის გახდა, რომ ამ დიდ ადამიანს უშნიშვნელო, უბრალო რამ შეეშალა - მოსალაპარაკებლად მისულ სენატორებს მჯდომარე მიესალმა.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

Freedom House: - ის ყოველწლიური მოხსენების „გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოები - 2014“ მიხედვით, საქართველოს მაჩვენებლები გაუმჯობესდა: მოხსენების ავტორების აზრით, ყოფილი სსრ კავშირის ბალკანეთისა და ცენტრალური ევროპის 29 ქვეყნიდან სიტუაცია განდა ანალიზის საგანი, უკანასკნელი წლის განმავლობაში დემოკრატიული რეიტინგი „თანმიმდევრულად უმჯობესდება“ მხოლოდ საქართველოსა და ყირგიზეთში.

ამ დროს საქართველო 4,68 ქულით აღმოჩნდა „გარდამავალი მმართველობის“ სახელმწიფოთა კატეგორიაში, ხოლო ყირგიზეთი (5,89 ქულა), - „კატეგორიაში „ნაწილობრივ კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი“.

შეგახსენებთ, რომ დემოკრატიის დონე ფასდება 7-ბალიანი შკალით, სადაც 1 ქულა - საუკეთესო მაჩვენებელია, 7 ქულა კი - ყველაზე ცუდი.

დემოკრატიის ზრდას საქართველოში მოხსენების ავტორები უკავშირებენ 2012 და 2013 წლებში „უფრო თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს“, აგრეთვე პლურალიზმს, რაც გახდა საარჩევნო პროცესის შედეგი.

ანალიტიკოსი შეგვახსენებს, რომ მიმდინარე წლის მისი საქართველოს პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რის წყალობითაც საქართველომ გადადგა „ნაბიჯი წინ“ ერთ-ერთი იმ საკითხის გადამწყვეტაში, რომელიც ნახსენებია მოხსენებაში: დოკუმენტში, კერძოდ, საკითხი შეეხება მართლმადიდებელი ჯგუფისა და ზემოხსენებული აქციის მონაწილეთა დაპირისპირებას.

„იმდენად რამდენადაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიღებული იქნა სულ ახლახან, მოხსენების ავტორებს არ შეეძლოთ, აესახათ ეს ფაქტი მოხსენებაში. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ საქართველოს რეიტინგი, ალბათ, იქნებოდა კიდევ უფრო უკეთესი“, - მიაჩნია ექსპერტს.

თენგიზ ფხალაძის სიტყვებით, მთავარი გამოწვევა, რასაც საქართველო გადაეყარა, ეს არის - არ დაუშვას იმ პოზიციის ჩამოქვეითება, რასაც ქვეყანამ მიაღწია დემოკრატიული განვითარების გზაზე.

„არ ღირს გამოვთქვით კმაყოფილება მიღწეულით ანდა დავიმშვიდოთ თავი აზრით, რომ საქართველოს მაჩვენებლები საუკეთესოა რეგიონში. აუცილებელია, გაგრძელდეს რეფორმები, რათა საქართველო თანდათანობით გახდეს სტაბილური დემოკრატიული ქვეყანა“, - განუცხადა ფხალაძემ „ამერიკის ხმის“ რუსულ სამსახურს.

სხვა გაომწვევები

უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ იმ საკითხების გარდა, რომლებიც ნახსენებია ზემოთ ხსენებულ მოხსენებაში, საქართველოს დემოკრატიის უნდება შეხვედრები სხვა გამოწვევებთანაც.

პოლიტოლოგის სიტყვებით, უწინარეს ყოვლისა, ესაა ტენდენციები, რომლებიც სჭარბობენ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების წინაპერიოდში. არჩევნები 15 ივლისისთვისაა დანიშნული.

კერძოდ, წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა ხულიგნურ თავდასხმებს ოპოზიციის წარმომადგენლებთან - ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებთან, პარტიისა, რომელიც, ყველა გამოკითხვის თანახმად, სარგებლობს ყველაზე დიდი მხარდაჭერით ოპოზიციურ პარტიებს შორის. ექსპერტი ამას საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის უქონლობით განმარტავს, მას, მისი შეფასებით, იწონებენ ხელისუფლების უმოქმედობით, ვინაიდან, ხაზგასმით აღნიშნავს ჩიტაძე, არც ერთ მსგავს შემთხვევას არ მოჰყოლია „ადეკვატური რეაქცია“ შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

უფრო მეტიც, პოლიტოლოგი „ყურადღებულად“ მიიჩნევს მმართველი პარტიის წარმომადგენელთა გამონათქვამებს ოპოზიციის წინააღმდეგ. ექსპერტმა, კერძოდ, შეგვახსენა, საქართველოს პრემიერის ირაკლი ლარიაშვილის ამასწინანდელი განცხადება იმის შესახებ, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უახლოეს კვირას ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობა „საბოლოოდ გაქრება პოლიტიკური სივრცეიდან“. ჩიტაძე აღნიშნავს, რომ ამგვარი განცხადებები არ შეესაბამება დემოკრატიის სულისკვეთებას. მისი სიტყვებით, პრობლემა „მოდის ზემოდან“.

მეორე პრობლემა, აღნიშნავს პოლიტოლოგი, - „არჩევითი მართლმსაჯულება“: მთელ რიგ შემთხვევებში სასჯელის ზომები სამართალდამრღვევებისათვის ემთხვევა მათს პოლიტიკურ შეხედულებებს, ესე იგი თუ მმართველი პარტიის აქტივისტებისთვის სასამართლო განსაზღვრავს „უმნიშვნელო“ ჯარიმებს, ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის სასჯელი ხშირად „გაცილებით უფრო მკაცრია“.

ჩიტაძე დემოკრატიის განვითარებისათვის არანაკლებ პრობლემურად მიიჩნევს პოლიტიკოსების პოლიტიკური იდეოლოგიის უქონლობას. მაგალითად, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 2012 წელს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბევრი წარმომადგენელი გადავიდა მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“.

„ეს ყოველივე გარკვეულ შეფოთებას იწვევს, თუმცა, მაინც ჯერჯერობით სიტუაცია არ არის იმდენად სერიოზული, რომ იგი არ შეიცვალოს უკეთესობისკენ“, - განაცხადა დასასრულს ექსპერტმა.

FREEDOM HOUSE: საქართველოს დემოკრატიული რეიტინგი განუხრავლად იზრდება საქართველო მოხსენებაში „გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოები - 2014“



მიუხედავად ამისა, Freedom House: აღნიშნავს „გამოწვევებსაც“, რომელიც გაჩნდა საქართველოში 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა ოპოზიციის ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით.

კერძოდ, მოხსენებაში აღნიშნულია „სადავო გამოკვლევები და დევნები“, ჩინოვნიკებისა საქართველოს ყოფილი ხელისუფლებიდან, რომლებსაც ბრალი ედებოდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასა და კორუფციაში. მოხსენებაში აღნიშნულია ეპიზოდები (რასაც ადგილი ჰქონდა შარშან მისში), როდესაც ათასობით ადამიანი გავლენიანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელობით გამოვიდა ქუჩაში, რათა დაეშალათ თბილისის ცენტრში მიმდინარე არამრავალრიცხოვანი აქცია ანტიდისკრიმინაციულ უფლებათა დასაცავად.

ახალი შეფასებით, ევროპის 29 ქვეყნიდან 13 დემოკრატიულია, 6-ში არსებობს გარდამავალი რეჟიმი, 10-ში კი - ავტორიტარული.

16 ქვეყანაში რუსეთის ჩათვლით 2013 წელს საერთო დემოკრატიული რეიტინგი შემცირდა, 5-ში გაიზარდა, 8-ში დარჩა 2012 წლის დონეზე.

„გაბრძნობის რეჟიმები“

თბილისის გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის თენგიზ ფხალაძის აზრით, Freedom House მოხსენების დასკვნები „ასახვენ რეალობას“. უკანასკნელ წლებში, აღნიშნავს იგი, საქართველოში მართლაც შეინიშნება დემოკრატიული განვითარების „პოზიტიური“ დინამიკა.

საქართველო პრაქტიკულად არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომელშიც გაიმართა თავისუფალი არჩევნები, აღნიშნავს პოლიტოლოგი, მიაღწია წარმატებებს სხვა სფეროებშიც. კერძოდ გამჭვირვალობის ამალგებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშგების უზრუნველყოფაში.

დედამინის ზურგზე



სამხრეთი კორეის პრეზიდენტმა მთავრობის 7 მინისტრი შეხვალა

კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა პაკ კინ სემ პირველად ხელისუფლებაში ყოფნის 1 წლის განმავლობაში დაიწყო ადმინისტრაციის სერიოზული რეორგანიზაცია. მან შეცვალა ერთბაშად მთავრობის 7 მინისტრი. ხელისუფლებამ სამხრეთ კორეაში განიცადა სერიოზული სარეზუტაციო ზარალი ბორან „სეგოლის“ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც 16 აპრილს მოხდა.



სოლოკოვსკი: რუსეთის პოლიტიკას უკრაინის საკითხში განსაზღვრავს პირადად პუტინი, და მან „გამოყო მილიონები“


მიხეილ სოდორკოვსკის აზრით, თუ უკრაინა მიიღებს პუტინის პირობებს, იგი შეწყვეტს ამა თუ იმ მოქმედებებს მის მიმართ. „აი, დარჩება თუ არა ასეთი პირობების შესრულების შემთხვევაში უკრაინა დაოჯიჯივდება სახელმწიფოდ, ამაში მე მტკიცედ არ ვარ დარწმუნებული“, - თქვა „იუკოსის“ ექსპლემტანელმა. დასავლეთის სანქციები კი მიაჩნია მას, მეტად ქმედითი არ იქნება.

მარიუპოლში უკრაინელმა კალონებმა დაიწყეს მთავრობის მხარეზე გადასვლა

მარიუპოლის ცენტრში კიევის კონტროლქვეშ არსებულმა ძალოვნებმა პარასკევს დილით დაიწყეს ბრძოლა თვითგამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მებრძოლების წარმომადგენლებთან. მემბრონებმა გაავრცელეს ცნობა ძალოვნების შეტევის შესახებ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის შტაბზე და ქუჩის ბრძოლების შესახებ.

რუსული ბომბდამხანაზი კვლავ შენიშნა ავარიის შედეგად დაზარალებული შტაბების საწარმოები

ამერიკულმა რადარებმა აღფრთხილებს მასობრივად დააფიქსირეს 4 ტუ-95 და 2 ბენზინის ჩამოსხმული თვითმფრინავი ილ-78. თუმცა, მიუთითებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო სივრცე სამხედრო თვითმფრინავებს რუსეთის ფედერაციიდან არ დაუშვებიათ.




არქიმანდრიტი ადამი: – ხსნისაკენ გზაი ხომ სოფელზე უგრძესია...



მარშაშის უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიის 2014 წლის ლაურეატი გახდა ქართველი პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე), ფილოსოფოსი, ექიმი, პოეტი და სასულიერო მოღვაწე – ქართული ორიგინალური სასულიერო პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

წმინდა გრიგოლ ფერაძის პრემია ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურმა უნივერსიტეტმა „პრო გეორგიამ“ 2010 წელს დააარსა და მას ორ წელიწადში ერთხელ გაცემს. ეს პრემია იმ პუბლიცისტსა და ფასიურ ლიტერატურის გადაცემას ლაურეატებს, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ამკვიდრებენ.

ვულოცავთ მამა ადამს ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი მღვდელმთაფმე გრიგოლის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატობას. აქვე გთავაზობთ პოეტ მთვარისა კერესელიძის შეფასებას მამა ადამის პოეტურ კრებულებზე.



„აღვხედე: სასოება ცის ზემოთ აისობდა“

საოცარ პოეზიას გადაეაწყდო... ვერც იმას ვიტყვი, რომ იგი მხოლოდ და მთლად ახლებურია, რაღაც ჯერარნახული სიხბლე, ან რაიმე ახალი მიმართულება... და ვერც იმას ვამბობ, რომ ოდნავ მაინც მოძველებული, გაცვეთილი სტილია პოეზიისა.

ამ ლექსებმა სადღაც – მიღმურს იქითა საუკუნეებში, უჩვეულო სამყაროში გადამახედეს, ასევე უჩვეულო ფრაზებით, ენით, სტილით, სახეებით, შედარებებით, გამონათქვამებით... იოანე ზოსიმე მომაგონდა უნებლიეთ, მინჩხიც, დამასკელიც...

თითქოს შუა საუკუნეებიდან მოვქნივართ დღევანდელი ბაზილიკისა და ასე წარმოვთქვამთ „უსიტყვო ფრაზებს, გაჯერებულ სიმბოლოებს ცრემლთა“, განვიცდით „ოფლიან ქედის სულის მსგავსად უღელში შემას ლუკმაპურისთვის“...

და ისევ საიდანდაც ვგრუნდებით, თუ გვიყურ სამყაროში გადავდივართ:

გავხედე: უამო ჩემი მინდ-მწუხრით დაისობდა; ადვხედე: სასოება ცის ზემოთ აისობდა.

ისიც ვიკითხოთ: როგორია ამ ლექსების რითმა, რიტმი, ქარგა? რა არის მათი ტრადიციული ლექსისა, ან თეთრისა, ან ურითმისა? ან იქნებ თავისუფალი ლექსისა?

ამ მხრივაც ყველაფერი თავისებურია. ვერ იტყვი, რომ ჩვეულებრივი ლექსებია, ან განკუთვნილი და განდგომილი დაყუდებული ბერიები... ავი ძალზე შეტყვევდა, გონიერი, გულიანი, აზრიანი. გვერის გამოხატვლია თითოეული ფრაზა, სიტყვა, სახე... და მაინც! რა არის ეს ყველაფერი მთლიანობაში? რა ასაზრდოებს ამ პოეზიას? რომელი ლიტერატურული მიმართულებას ენათესავება? ნუთუ ეს პრიმიტივიზმია, თუნდაც ფიროსმანისეული?! თუკი იგი უძილო სუნთქვებს გითვლის,

უფერულ დღეებს გიწვდის, გავიწყებს სამსჯვლის კვირის, ვერც ეკლისა გრძნობ ტავილს(?!).

აქ, მამა ადამის პოეტურ სამყაროში გეცას ფერი აქვს ციყრის (თუ თვალი კიდევ მიჭრის):

მეაღვრსება ჭინჭრით უსასრულობა. მოულოდნელია, არა? ჭინჭრით მოაღვრეს უსასრულობა! არადა, რა პოეტურია, განსაცვიფრებლად პოეტური, ზედმიწევნით პოეტური!

არ განვიხილავთ ლექსებს სათითაოდ! არც რაიმე ნიშნის მიხედვით დავაუბრებთ. აქ ერთადაა შერწყმული, ერთნაირად განსულიერებულ-განნივთებულ ყველაფერი მიღმურს იქითა და აქეთა, მიწიერი და ზეციური, წარსული და მყოფი... გამქრალია ზღვარი საუკუნეთა, მოვლენათა, საგანთა განცდილსა და ნააზრვეს, საფიქრალსა და საზრუნავს და, თუ გნებავთ, ხილულსა და უხილავს შორის...

თავის სათქმელს, აზრს (ფორმითაც და შინაარსითაც) გადმოგვცემს – უჩვეულო სიტყვებით, თავისთავადი ხედვით. ავიდოთ დედისადმი მიძღვნილი ლექსი. ამ თემაზე ხომ ყოველ პოეტს კი არა, არაპოეტსაც უფიქრია. ვერ დაუძლევიან დედის გარდაცვალებით გამოწვეული ტრავმა, უთქვამს მონატრების სიტყვები... ვნახოთ, როგორ გადმოსცემს ამ გრძნობებს პოეტი-არქიმანდრიტი:

ვედღებე მიძინების ულურჯესი ფრესკა გალურსული... ჯერ კიდევ სიცოცხლეა შენს სხეულში, დედა...

საქაოთსკენ მოსაზრუნებელი კარები დალურსმული... შენი დღეებივით სასოება ჩემს სხეულში დნება.

შენ ეს ხანებია სულ ერთთავად ქრისტესკენ იცქირები...



ლერაქ-მოსასხამში გადასახლდი – სასუმელი მიცვცს სავსე... „ცრემლოდა იესუსა“ შენ ბოლო ამოსუნთქვას... დე! სიმზრად მაინც შემაწუხე – იქნებ შეგეშველო რაიმეთი...

ჩაგიკითხავთ სადმე მსგავსი სტრიქონები დედაზე? არა, რა თქმა უნდა, და ამიტომაც მათ ავტორს უფლება აქვს, შეუთვალოს მიცვალეზულთ:

მტკივა. მოვიჩქარი. ვიცი, მონატრებით დამხვდებით. ლოცვად საფლავებზე სურნელ გიფენიათ ვარდების. ქარი თმას მიწეწავს...

ქვენი სურთქვა მესმის, მიღმა მოშრიალე ფარდების. ასევე შეიძლება ითქვას ლექსზე „ჩემი მამაჩემი“:

ვითინე ხმით, როგორაც ნამდვილმა მოტირალმა, გულის კედლების ჩამოხრებით, გლოვიანი წამღერებით, არტისტულადაც.

ფრთები გავიშალე, ქვეები და მუშტები დავიშინე: ჩემო მამაჩემო,

ანგელოზთ მთავრის მოსახლევე... ასე დასტორის პოეტი მისთვის „ანგელოზთა დღეს წართმეულ“ მამას... დასტორის „ჩემო მამაჩემო“ და ესეც იმდენად თავისებური ფორმის ლექსია, იმდენად მოულოდნელი, მხოლოდ ის მახსენდება, ასეთი ლექსი, ალბათ, მრავლად რომაა საგმირო ეპოსის ლექს-სიმღერებში, მაგრამ კლასიკურ პოეზიაში ნამდვილად არა!

მამა ადამის პოეტური აზროვნება პარადოქსულია. **ღმერთო, შეგვიმზრალე! ნუ შეისმენ ჩვენს უგვან ლოცვას! შენ ხომ დავგვირდი, რომ არ მოგვეცემ ქვეებს, ნაცვლად პურის უხეირონი იმ ქვეებს სხვათა ჩასაქოლად**

ხოლო გველებს მივუსვდით, ვინც შევიძულეთ... აი, კიდევ ერთი ნიმუში:

წესია – დადლილი დედამიწა დადლილი კაცს ეშველება: ჯერ ზურგზე შეისვამს და მერე რომ უძლოუნდება, შიგ გულში დაიბარხავს – სხვისთვის არ ემეტება.

ამგვარად მეტყველებს პოეტი, ასე ხედავს კაცთა მარადიულ სატკივარს – სიკვდილ-სიცოცხლის დილემას, იმას, რაც არაერთგვარად გამოუხატავთ ლექსდაც, ზღაპრდაც,

ლევენდადაც: „მიწა გვზრდის და მიწავე გვჭამს“, „მიწის შვილები მიწის ლუკმა ვართო“... პოეტი კი განსხვავებულად ამბობს... თანაც მის წიგნებში ამ თემას მარადიული მამულის სიყვარული ენაცვლება – ლოცვა სამშობლოსათვის:

ო, საქართველო, საქართველო დამილოცე, მამავე და მეცავე!

სისხლისგან დაცლილს ჩემს სამშობლოს ოთხივე კუთხით აკურთხებს მშვეცა.

ლიხის ქედიდან ღრუბლებამდის ასვეტილი გოდებს სანათა, იმისმა კვენსამ, თუ ჯვირავის ფარის ძალამ – რამ გაანათა?

ქართველის გული, მისი სული დამილოცე, საბაოთ ღმერთო!

იქნების, წამლად აფხაზეთი, სამაჩაბლო შემოგვიერთო!.. „წამლადო“, ამბობს ავტორი, რადგან ეს „წამალი“ სულის იარას განკურნავს პოეტისას... დიდი ტრავმაა ამ სტრიქონებში, ერის ტრავმა... რას იზამდა ასეთ დროს ილია? ან თამარი? ან შოთა? ალბათ, სხვას ვერაფერს, რადგან, რაც გვჭირს, ეს პოლიტიკური ნებაა შესახებმწიფოებისა და იმათი მმართველებისა. ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერები, სამწუხაროდ, ვერას გავაწყობთ მათთან...

მამა ადამის პოეტურ კრებულებში მრავალადაა გაბნეული ქვეტექსტებით აღსავსე სტრიქონები: „არ გვიძებნია ნიუარები თვალდახუჭულთ“, „გადისხნა მიწა: სულ არ ჰგავდა სიკვდილის ალაგს“, „შენ, სასოების ნიშლია ჩიტო, ნუ გაფრინდები“, „მწარე ნაყოფი გამოესხა ჩვენს უბანში მდგარ ცოდვის ხესაც“, „მებრის ისვენებდნენ მიწისგან მუხლები“, „შენ რჩები ღრუბლად, ღრუბლის ქულად, ჩემო ყრმობავ, ვარდობის თვემდის, როს გაწვიმდები“, „ქარის გამაღვიძებს გახსენებაც, თორემ ნაღდი რქებს დაამტკრევეს ირმისას“, „ჩემი სული ისევ გაჰყვება მყოფადის ქარებს, მდინარეებს და ქარტხილებს“... ეს უკვე მარადისობისკენ ლტოლვაა. ავი პირველი წიგნის სახელწოდებაც ამასვე მიგვანიშნებს. მარადისობა ხომ მუდამ ენატრება ლექსის მთხვევლს.

ორივე პოეტური კრებული – „მარადისობის მონატრება შებინდებისას“ და „40 ლექსიკ“ – მეტად საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისით. არქიმანდრიტი-პოეტისთვის, ცხადია, ძალიან ახლოა სასულიერო სალიტერატურო და ღვთისმსახურების ენა, რაც თანამედროვე ქართულში შეიძლება არქაიზმადაც კი მიიჩნეოდეს და ასევე განიხილება კიდევ... მაგრამ მამა ადამის პოეზიაზე ამას ვერ ვიტყვით. მისი ენა ძველი ქართული ლიტერატურული და საეკლესიო-საღვთისმსახურებო ენობრივი ერთეულებით ისე ორგანულადაა გაჯერებული, რომ ისინი ახალ სიციცხლეს იძენენ და თანამედროვე ენაში დამკვიდრების პრეტენზიას აცხადებენ. ეს კი მისასაღმებელია, რადგანაც ეს ულამაზასი სიტყვა-თქმანი სულსა და გულს, ყურსა და გონებას ტკბილად ესალბუნება...

...როგორც დედამიწა, გავვირეებას აყოლილი, წელიწადი მოგზაურობს შენი მზის გარშემო – ვერ ოკდება,

ისე მეც ჯარსავით ვიტრიალო შორის შესაქმეთა შენთა უწვდომელთა...

ნავარდი ენატრება სულს უზრალო მნათობივით... წამიყვანე ჩემი სამფლობელოდან შენს საუფლოში.

ამ წერილში მხოლოდ მიმოვიხილეთ მამა ადამის პოეზია, გადავფურცლეთ მისი წიგნები და თვალი შევავლეთ პოეტური მადლით მირონცხებულ მის ლექსებს.

გზას ვულოცავთ ამ მშვენიერ ლექსებს. დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველი და თაყვანისმცემელი კიდევ მრავლად გამოუჩნდება და მამა ადამის პოეზია ღირსეულად იღვწის დაიშვილებს თანამედროვე მწერლობაში!

მთვარისა კერესელიძე

მუხდიალი - 2014

მსა პიკასოს ბიჭი?!

ანუ ვანი მსაჯისაგან




ბრაზილიური ფორუმის სტარტამდე რამდენიმე საათით ადრე „პენტა კამპეონთა“ ერთი ქომაგი თანამოაზრეებს უდარდელად უმტკიცებდა - იმ გუნდთან, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სულთმობრძე ნაკრებმა დაამარცხა, მუნდიალის მასპინძლებს რა პრობლემა უნდა შეექმნათო.

მას რატომღაც არ ახსოვდა და არც არავინ უკარანახა, რომ, მართალია, სორვატემა თბილისში თავი კი შეირცხვინეს, მაგრამ მანამდეც და შემდეგაც საფეხბურთო სამყარო არაერთხელ ააღაპარა კეს პატრიოტიზმით გამსჭვალული ბრძოლისუნარიანობითა და შთამბეჭდავი თამაშით, თანაც მათ ლიდერთა დასათრევად ევროპულ გრანდებს ისეთი ტაციობა აქვთ გაჩაღებული, თქვენი მოწონებული.

„ა“ ჯგუფი ბრაზილია - სორვატემა 3:1 (1:1) გოლები: ნეიმარი - 2 (1 - პენალტით), ოსკარი; მარსელო (საკუთარ კარში). სან პაულუს „კორინტიანის“ სტადიონზე გამართულმა გახსნის მატჩმა სტუმართა ღირსებებთან ერთად ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდის სუსტი ნერტილებიც გამოამჟღავნა. მათგან უპირველესად დაცვაში არსებული ქაოსის მისაჩვენებელი, რამაც მომავალში, უშუალო კონკურენტებთან შეხვედრებში შეიძლება საბედისწერო როლი შეასრულოს. სხვათა შორის, სამხრეთაშორ-

გაღისწერა

რონალდუს დაბრუნება გადაიდო



პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ლიდერმა კრიშტიანუ რონალდუმ 12 ივნისს ქალაქ კამპინასში გუნდის მორიგი ვარჯიში ტრავმის გამო ვერ დაასრულა. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ნაკრებთან ერთად 15-20 წუთი ფიზიკურად დაიტვირთა, თუმცა ბურთთან საკონტაქტო ვარჯიში ვეღარ გააგრძელა. ფოტოებიდან ჩანს, რომ რონალდუ მუხლის ტრავმამ კვლავ შეანუხა და მინდორს ყინულის სახვევით ტოვებს. მუნდიალის გახსნამდე გულშემატკივრებისთვის სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა - რონალდუ სრული დატვირთვით ვარჯიშობდა, თუმცა აღნიშნული ფაქტის შემდეგ პორტუგალიელი ფაქტის შემდეგ პორტუგალიელი-

მანუარ ბიორბაძე

ინტერნეტიდან

მსოფლიო თასი, „ფლეიბოი“ და ბერბანელი ლამაზმანები

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყება ფეხბურთის ტრეშმარტ ქომაგებზე არანაკლებად პოპულარული მაძიებელი ანდა უკვე პოპულარულ ლამაზმანებს გაუხარდათ. მათ კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი, რომ ფეხბურთის მილიონობით ქომაგთა გული მოიგონ.



ჭაღრაპი

ლოპოგაძე - სრავი მოთელა თბილისში

თბილისის ჭაღრაკის სასახლეში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოჭაღრაკე ქალ-ვაჟთა გრან პრის მეორე ეტაპი რაპიდსა (სწრაფი ჭაღრაკი - თითოეულ მოჭაღრაკეს პარტიისთვის ეძლეოდა 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) და ბლიცში (თითოეული პარტიისთვის 3-3 წუთს ბლიუს 2-2 წამი ყოველი სვლისთვის). შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიული სისტემით ცხრა ტურად. რაპიდში მანდილოსანთა შორის საქართველოს ნაკრების წევრმა ლელა ჯავახიშვილმა იყორალა - 9 შესაძლებელიდან 7 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები მერი არაბიძემ და ინგა ხურცილავამ გაიყვეს. ვაჟებში 8 ქულით ყველას საერთაშორისო ოსტატმა ბაჩანა მორჩიაშვილმა აჯობა. 7,5 ქულით მეორე იყო კონსტანტინე შანავა. 7 ქულით მესამე ადგილი შოთა ახალაძემ დაიკავა. ცხრა შესხვედრიდან 9 ქულა! -

ავტორი

ქაჯიას პოკერი



იტალიური მონცას ავტორი მმა ვეროპის ჩემპიონატის - „ლეჯენდ სუპერქაფის“ მეოთხე ეტაპს უმასპინძლა. შესანიშნავად იასპარეზა ქართველმა დათა ქაჯიამ, რომელმაც ეტაპის ოთხე რბოლა მოიგო, ეს კი ამ ტრასის რეკორდია - მსგავსი რამ იტალიური ტრევის ისტორიაში აქამდე არ მომხდარა.

გარკვეული ტექნიკური პრობლემების გამო ასპარეზობის წინა დღეს ქაჯიას მანქანაში ახალი ძრავი ჩადგეს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად აენყო და ჩვენებურმა პირველი რბოლა მოიგო. მეორე შეჯიბრების გამარჯვებული ფოტოფინიშმა გამოავლინა - დათამ 0.002 წამით დაამარცხა ბრიტანელი მეტოქე ჯეიმს ჰოლმანი.

კალთხუთი

„სან ანტონიოს“ ჩემპიონობაზე პრემია მოგება აშორებს

გრანდ პოპულოზიის მიერ დარიგებულმა „სან ანტონიოს ფორუმმა“ „მაიაში პიტის“ ფინალური სერის ორი გასვლითი მატჩი ჯამში 40 ქულის სხვაობით მოუგო და სერიაში 3:1 დანაწარდა, შესაბამისად, მე-5 საჩემპიონო ტიტულამდე ერთი გამარჯვება აშორებს. ტუხასელებმა გასული მატჩი 107:86 მოიგეს და ეს მიმდინარე პლეი ოფში მე-11 თამაში გახლდათ, რომელშიც გუნდმა 15 და მეტი ქულის სხვაობით იმარჯვა. აქამდე სარეკორდო მაჩვენებელი „ლოს ანჯელეს ლიეკერზს“ ეკუთვნოდა, რომელსაც 1984-85 წლების პლეი ოფში 10 მსგავსი შესხვედრა ჰქონდა. ისიც ვთქვათ, რომ ლიგის ისტორიაში ჩემპიონი არასდროს გამხდარა გუნდი, რომელიც სერიაში 1:3 ჩამორჩებოდა. მოკლედ, ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი „პითი“ ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება, მითუმეტეს, რომ მომდევნო მატჩის ჩატარება ხვალ სან ანტონიოში მოუწევს. პოპოვიჩის და მთლიანად „სან ანტონიოს“ ბედად სწორედ საჭირო უამს გაიბრწყინა კავია ლეონარდო, რომელმაც პირველ ფლორიდულ შესხვედრაში 29 ქულა ჩააგდო, ახლა კი 20 ქულა, 14 მოხსნა, 3 დაფარება და 3 პასი მიითვალა და სტუმართა მხრიდან ისევ საუკეთესო გახლდათ. ფრანგმა გამთამაშებელმა ტონი პარკერმა 19 ქულა ჩააგდო, უბერებელმა ვეტერანმა ტიმ დანვანმა კი მორიგი ორმაგი დუბლი (10 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა და ერთბაშად ორი რეკორდი დაამყარა.



38 წლის ფორვარდმა პლეი ოფში დაფიქსირებული „დაბლ-დაბლების“ მიხედვით მეჯიკ ჯონსონის მიღწევა გადაფარა, მოედანზე გატარებული ნუთებით კი კიდევ ერთ ლეგენდარულ კალთხუთელ კარმ აბდულ-ჯაბარს გადაუსწრო. ახლა დანკანის მონაგარი 8 869 წუთი (აბდულ-ჯაბარის 8 851-ის საპირისპიროდ) და 158 ორმაგი დუბლია (ჯონსონს 157 ჰქონდა).

ვიტალი ჯაფარიძე

კრივი

ორნი - ფინალში

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დასასრულს უახლოვდება მოკრივეთა ვიტორ ლიენცევის სახელობის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სუთი ქართველი სპორტსმენი ჩაება. ორი მათგანი ფინალში გავიდა: 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ზაალ კვაჭატაძემ მეოთხედფინალში მოლოდინეული ბორის ტურევი დაამარცხა, ნახევარფინალში კი მასპინძელ ალექსეი ჰალტისს აჯობა. ასევე, გადამწყვეტი პაექრობისკენ გაიკაფა გზა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა მიხეილ ბახტიძემ (+91 კგ) ჯერ ყაზახი მაგზან ბაზარბაი ჩამოიპოვრა გზიდან, გუმინ კი ბელარუს რუსლან კაკუშინს მოუგო. 81 კილოში რომან თავაძემ მესამე ადგილს დასჯერდა.

© იდეგრაფი

...კიდევ ბევრჯერ, მიძინებული ქვეყნის გამოსაფხიზლებლად!

80 წლისა შესრულებულა ჩვენი ალექსი შენგელია. ჩვენი, რადგან მუდამ ერთგულნი ვართ და ერთგულებას „საქართველოს რესპუბლიკას“ ისევ ისეთივე ახალგაზრდული შემართებითა და ენერჯით, ჩვეული იუმორითა და ხალისით (როგორც ქუთათურებს სჩვევიათ), ბოლო დროს სამშობლოზე დაფიქრებულ-დანაღვლიანებული, მუდამ მისი ჭინისუფალი – მოვინათვრებით და მოდის, მოაქვს შესანიშნავი ჩანაწერები, თავისი ნაფიქრალ-ნაზრები, ჭინჭანარები სხანტულები. ზუსტად ისეთი, როგორც ქართული მედიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ღირსების ორდენისა, მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს ტელერადიოკომიტეტის წლის საუკეთესო გადაცემათა კონკურსების მრავალჯერ ლაურეატს, მრავალი წიგნის ავტორს და გამორჩეულ რედაქტორს შეეფერება. ბატონი ალექსი ამ დამსახურებათა და ტიტულთა ჩამონათვალს ხალხის სიყვარული სწონის, ხალხის სიყვარული და ჯერ კიდევ კომუნისტების დროს საქვეყნოდ ცნობილი ისეთი საავტორო გადაცემები, როგორებიცაა „რისხვით შერეული მუშაობა“, „მეზღინება ზოჯოხათში“, „მინა, რომელიც იწვის“ და... უკვდავი „პაპა-გეთი ბარბი“.



ველოცავთ ბატონ ალექსის საიუმბოლო თარიღს, ჯანის სიმრთელესა და დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ. თავისი სამშობლოს სადარაჯოზე მდგარ ერთ-ერთ მეციხოვნეს კვლავაც დაეგუგუნებინოს ხალხის გამოსაფხიზლებლად ზარები, რამეთუ სწორედ მისიანი მებრძოლი, პრინციპულ შემოქმედთა ძალუძით ქვეყნის გამოსაფხიზლება. იცოცხლეთ და იდეგრაფი, ბატონო ალექსი!

სამი სათრეველა

ყველაზე ანტიდისკრიმინაციულ გადასაბრუნებზე

ამორია

ამორია იმეო სიონის მთავარსა და მამა აბრამს, ვიღო ღმერთს ნაბით აბრამი ბაბლამოლა, პირველი უნდა შეეძინა მსხვერპლად მას შემდეგ მხოლოდ დედა იმეო იმეო იმეო და იმეო – ღაბაღაბაძე.

ნახე, რა მოლია? ბატონს აბრამისა იცავს ანთონი,* და დგას ამორია, შორი ამორია, წმიდა მთა სიონის.

ბავშვები, ბავშვები, ბავშვები, ბავშვები! აქ ვინ ამოაღწეა, აქ რად ამოაღწეა? ღმერთი მსხვერპლს არ ითხოვს, ამოად დაშვერი; აბრამ, რად იკისრე ტანჯვა ამოაღწეა?

გისმობთ უცოდველად, მაგრამ როგორ გძინავს, როცა, როგორც ქველად, დედებს ვშმა ძირავს, მას, ვინც გაიმეტა ჩვილი მოსაგლეხი, მას, ვინც დაივიწყა მშობლის თავგანწირვა...

იცის ამორიამ, რა ბინდავს გონებას და კუპრის მორევი რად დულს მწვავებ ბედად, სედავს გეპინომთან** ბომონის მონებად რატომ შეკრებილა ყველა მკვლეელი დედა...

უნმინდურობა უმანკოებას იწირავს მსხვერპლად, რადგან ასე ნებავს, როცა უსირცხვილო თვალებს ბრძნულად ნაბავს: – სირცხვილიც ღმერთი იო! მამა უცნობდებს!

* ამნონი იონა ბატონიშვილის ბანბარბაბით ქუდაბია.

** ბაბინეო ბავშვთა შეწირვის ველია იმრუსალიმთან.

ცაო, მიუტევე ყველა მამა აბრამს, მაგრამ შეიბრალე ჩვილი უცოდველი!

მთა ამორია, დღემდე არ მოლია მსხვერპლი სიკვდილმა და დროის გამკაცრებამ, დე, ნუ წავგვიწყვიდავს სული გაბოლილი ბატონის ფეხის ადგმას, ჩვილთა დაკაცებას!

როლები გასვლა

ქალი? ქალი უნდა იყოს დიაცო, ღია ცით შუბლ- და წარბგახსნილი და არა თახსირი.

კაცი? კაცი უნდა იყოს ნამდვილი გაცი და არა კაცობისგან დაცლილი ვინმეს საცობი.

ქალი? ქალი უნდა იყოს აალებული ქარი, შინ თუ გარეთ ცეცხლს რომ უკიდებს გვერდით მდგომსა და გამგლეხს, დაწვავს და მაინც ააკანკალებს.

უზნეობა თუ მოგეტუნება, რაიმე შეგარჩეს, ნუ გეგონება, უმკაცრესია დედაბუნება და ნამუსგარეცხილს ტყავს აცლის, როცა ხარ კაცი, თუ ინდომე რომ გახდე ქალი, და რომ ხარ ქალი, თუ ლოგინში შეცვალე კაცი.

მაშ, ნუღარ შესცოდავ, გაიმ, სოდომი გახსოვდეს, გაცი! დედობა გეჭირდება ქალის, მამობა უხდება კაცს, სხვა არც რა, მით უფრო როლები გაცვლა!

ანტიდისკრიმინაციული

„ანბი“

არ მსურს მიგვე ვს ბია მე ჩამოთესილი „მესიანელს“, გეისა და ლესბიანელს!

ალექსანდრე შენგელია

© ო, ენავ ჩაო!

ეს რომ ვახტანგ გორგასლის ორდენის მფლობელი ვიქნებო, ზოგი გიბასუხებთ, I, (II, III) ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი, ზოგი კი – ვახტანგ გორგასლის I, (II, III) ხარისხის ორდენი. რომელია სწორი დასახელება? ამის გარკვევას შევეცდებით.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გასული წლის 21 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა იაკობ ლუჯუას ფრიად საინტერესო მასალა – „სტალინის პირადი მზარეული – ალექსანდრე რთველაძე“, რომელშიც ავტორი ამ მართლაც რომ საინტერესო კაცის ჯილდოებს შორის ასახელებს II ხარისხის სამამულო ომის ორდენს. ამ ამბავმა ხელში ამაღებინა საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ 1987 წელს გამოცემული ფრიად სასარგებლო „ცნობარი სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პარტიული და პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების დასახელებათა დაწერილობისა“, რომელიც, გარდა ამ ცნობებისა, შეიცავს ერთობ საყურადღებო რეკომენდაციებსა და წესებს ქართული მართლმეტყველების თვალსაზრისით. რაკი შევეხეთ საბჭოთა პერიოდს, გავარკვიოთ, როგორი იყო ვითარება ჩვენთვის საინტერესო საკითხში?

ცნობარის ერთ-ერთ ქვეთავში ჩამოთვლილი მრავალი სახელმწიფო ჯილდო, განსაკუთრებით კი ომის პერიოდში დაწესებული, რომელთა დასახელება შეიცავს სხვადასხვა ხარისხს. ესენია, მაგალითად, I, II და III ხარისხის სუფორთვის, კულტუროვის, ბოგდან ხმელნიცკის, დიდების ორდენები, I და II ხარისხის სამამულო ომის ორდენი და სხვ. რა თქმა უნდა, აქ არავითარი ნათავისარობა არ ყოფილა – ყველა ეს ფორმა შეთანხმებული იყო ქართველ ენათმეცნიერთან.

შემდეგ რა მოხდაო, იკითხავთ, ალბათ. შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დიდი ხნის ნაოცნებარი დამოუკიდებლობა და დაადგა ახალი ცხოვრების შენების გზას. ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით გამოცემულ საკანონმდებლო აქტებთან ერთად მიიღეს კანონი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ, რომლის ერთ-ერთი ქვეპუნქტი ასეთი იყო: „ვახტანგ გორგასლის ორდენი – I, II, III ხარისხისა“. უკვე ეს იყო მისი უტყუარი საბუთი, რომ კონტექსტში მისი დასახელება უნდა გამართულიყო შემდეგნაირად: I, II, III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი. ზოგი არ ეთანხმებოდა ამ ფორმას. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისსაც ჰქონდა არსებობის უფლება. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებ.

ტრადიციისამებრ, როცა საქმე მართლმეტყველების პრობლემებს ეხება, მიმართავენ

ხოლმე ენათმეცნიერების ინსტიტუტს. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან წერილი გაეგზავნა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. საპასუხო წერილში (03.04. 96) რეკომენდებული იყო: ვახტანგ გორგასლის პირველი (მეორე და მესამე) ხარისხის ორდენი, ხოლო მეორე წერილში (11.11.2001), რომელსაც, ისევე როგორც წინას, ხელს აწერდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია, განმარტებული იყო, რომ პირველი რეკომენდაცია შეეხებოდა (აქ თითქმის სიტყვასიტყვით) მომავალ დანარჩენ ტექსტში ორდენთა დასახელებას ცნობარებში, ენციკლოპედიურ ლექსიკონებში, რეესტრებსა და საერთოდ „სიტყვანის“ ტიპის ჩამონათვალებში, სადაც შეიტყვებას ვეფხველი სემანტიკური სიტყვის მიხედვით. ყველა სხვა შემთხვევაში, ანუ კონტექსტში (განჯარგულება და პირთა მოხსენიება საბატიო წოდებით...) მიზანშეწონილია ინერბოდეს და წარმოითქვოდეს: პირველი (მეორე, მესამე) ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი, რათა არ გაიხლიჩოს ნომინაციის ბირთვი (მყარი შეიტყვება). მოსაზრება, რომ „პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასალი...“ და მისთ. ორზოგონებს შეიძლება ინვევდეს, არ არის მართებული.

ყოველივე ამის წყალობით ეს პრობლემა გადაიჭრა. ამის საილუსტრაციოდ შეგახსენებთ საქართველოს პრეზიდენტის ე. შვერდინაძის 2001 წლის 15 მარტის განკარგულებას, რომლის ტექსტს უცვლელად გთავაზობთ და რომლითაც კიდევ ერთხელ მივგებთ პატივს ჩვენი დროის დიდი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის ნათელ სსოვნას: „სამშობლოსათვის უშიშეს წლებში თავდაცვის ფონდის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა იარაღითა და სურსათით მომარაგებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, საბრძოლო მოქმედებების დროს გამოვლენილი თავდადებისა და ქვეყნის ერთგულებისათვის გამოჩენილი ქართველი მწველი და ჭეშმარიტი ერისკაცი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბი დაჯილდოვდა I ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით“.

მაგრამ ბოლო წლებში, სამწუხაროდ, ისევ ალაღვინეს და ყველგან გააბატონეს ზემოთ ნახსენები წერილის პირველი რეკომენდაციით განსაზღვრული დასახელება, რაც დაბნეულობას იწვევს. ამიტომ უპირანი იქნება, თუ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეაბამისი სტრუქტურა გაითვალისწინებს ყოველივე ამას და თავის ადგილს მიუჩენს მეორე რეკომენდაციით დადგენილ ფორმას.

ოთარ კაპანაძე

© ინფორმაცია

საჯარო სკოლებში საედიციონო კაბინეტები აღდგება

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგენჯომ ერთობლივ პრეზენტაციაზე ისაუბრეს.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, წლების განმავლობაში სკოლების უმეტესობა დამოკიდებული იყო მხოლოდ სასწავლო-სამედიცინო დახმარების მომსახურებაზე და არ იყო ჩართული იმუნიზაციის სელმენეჯობ პროცესებში; არ არსებობდა სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა და არ მოქმედებდა რეფერალის განხორციელების ადეკვატური მექანიზმი; სკოლებში ფიქსირდებოდა ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო მდგომარეობა და ჰიგიენის საკითხებთან დაკავშირებით იყო ინფორ-

მირებულიობისა და ცოდნის ნაკლებობა. 2014-2015 სასწავლო წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენის პილოტირების პროცესს იწყებს.

სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი იქნება საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებით და სხვა საჭირო რესურსებით. აღნიშნულ პროექტზე განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ერთიანი წლის განმავლობაში ერთობლივად იმუშავენ. შედეგად, ახალი სასწავლო წლიდან, სკოლის ექიმებთან დასაქმდებიან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული პირები, რომლებიც ფლობენ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში – საოჯახო მედიცინა-პედაიატრია.

ინტერპრესი

გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს რკინიგზა რკინიგზის უღელტეხილზე ჩამონოლილი მენყერის გამო მგზავრების შეუფერხებლად გადასაცვანად ნიშნავს დამატებით უფასო მატარებელს, რომელიც თბილისის ცენტრალური ვაგზიდან გავა 21 საათზე, ხოლო ქ. ზესტაფონიდან თბილისის მიმართულებით 00:00 საათზე. აღნიშნული მატარებელი დაესმარება მგზავრებს შექმნილ სიტუაციაში უსაფრთხო გადაადგილებაში.

სულიერება

ყოველთა წმიდათა კვირიაკე

პატრიარქის მარხვის დღესასწაული



15 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულებს ყოველთა წმიდათა კვირიაკეს. ორშაბათიდან კი წმიდა მოციქულთა მარხვა იწყება. ეს მარხვა მოციქულთა თავთა - პეტრეს და პავლეს სხენებით გვირგვინდება, ამიტომაც სახელიც მათი ჰქვია - პეტრეპავლობის მარხვა. საეკლესიო გადმოცემით, პეტრეპავლობის მარხვა მოციქულებს დაუწესებიათ. ამ მრავალდღიან მარხვას ძველად „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც მოიხსენიებენ. წლებადევი ზაფხულის მარხვა ოთხ კვირას გრძელდება.

გიული ლიპატია

მცირე ენციკლოპედია

ჯერ გაიზრდებიან. მერა დააბარებენ

მოსაქმელებს საშუალო სიმაღლე - 175 სანტიმეტრი, ბოლო 30 წლის მანძილზე საგრძობლად გაიზარდა და რუსეთელი ანტროპოლოგების განცხადებით, ახლა 180 სანტიმეტრს შეადგენს.

მეცნიერები პროგნოზირებენ, რომ ახლო მომავალში ადამიანები კიდევ 5 სანტიმეტრით გაიზრდებიან. შემდეგ კი, ევოლუციების კანონების შესაბამისად, რუსეთელების საშუალო სიმაღლე ისევ კლებას დაიწყებს.

სხვათა შორის, 180-სანტიმეტრიან ზღვარს უკვე გადააბიჯეს 3 ოლანდიელებმა: მათი საშუალო სიმაღლე 183 სანტიმეტრია, რაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი ერის ტიტულის ტარების უფლებას აძლევს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ტანმორჩილი კი ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობაა - მათი საშუალო სიმაღლე 153 სანტიმეტრს შეადგენს.

საამორბიუზიო მასალა

ამერიკელმა ფიზიკოსებმა და ინჟინრებმა მსოფლიოში ყველაზე მსუბუქი ნელონური მასალა შექმნეს: იგი პენოპლასტზე ასევე უფრო მზადაა, ენერჯის შთანთქმის ძალიან დიდი უნარი აქვს და უნგრელი ლითონის მიღების ცხურებიდან შედგება. ვარაუდობენ, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავლის აკუმულატორულ ბატარეებსა და სხვადასხვა საამორტიზაციო მოწყობილობებში. ახალი მასალის ავტორები კალიფორნიის ირვინისა და ტექნოლოგიური უნივერსიტეტების, აგრეთვე HRL ლაბორატორიის მეცნიერები არიან.

ყველაზე ძნელი იყო გადახლართული ცარიელი მილაკების მიკროგისოსის შექმნა, რომელთა კედლები ადამიანის თმაზე ათასჯერ უფრო თხელია, - ამბობს ნამყვანი ავტორი, დოქტორი თობიას შედლერი. - ახალი მასალის კვადრატული სანტიმეტრის სიმკვრივე სულ 0,9 მილიგრამს უდრის.

ცალკე აღსანიშნავია, რომ მიკროგისოსები 99,99 პროცენტით ჰაერისგან შედგება. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მასალის სიმტკიცეს მისი სტრუქტურის მონესრიგებულობა განაპირობებს.

ინჟინრებს მიაჩნიათ, რომ მასალა, რომელსაც ჯერჯერობით სახელი არა აქვს, დარტყმების, ბგერითი რხევებისა და ვიბრაციების საუკეთესო შთანთქმელი იქნება.



ჩვენი კარავალინი

ბაზილიკის მუხეზი

აღამიანებს, ვინც წონას მხოლოდ დიეტით ინარჩუნებენ და არა ფიზიკური ვარჯიშებით, შეიძლება შინაგანი ცხიმის დიდი მარაგები ჰქონდეთ, თუნდაც, ეს ადამიანები ტანკენარებად გამოიყურებოდნენ, მიაჩნიათ ბრიტანელ მეცნიერებს იმპერიის კოლეჯიდან.

შინაგანი ცხიმი წარმოიქმნება ცხოვრებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოების გარშემო, როგორებიცაა გული, ღვიძლი ან კუჭქვეშა ჯირკვავი. შეუიარაღებელი თვალით ასეთი სიმსუქნის დანახვა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, შინაგანი ცხიმი შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის ისეთივე სახიფათო, როგორც კანქვეშა ცხიმი.

აუცილებლად უნდა გადაისინჯოს ისეთი ცნება, როგორიცაა მსუქანი ადამიანი, ამბობენ, მეცნიერები, ცხადი საგანგაშო სიგნალების გარეშე, როგორცაა მომრგვალებული წელი, გამხდარ ადამიანებს შეიძლება ეგონოთ, რომ მათ ზედმეტი წონა არა აქვთ და ისინი ჯანმრთელები არიან და არ ღებულობენ არანაირ ზომებს დიაბეტისგან და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან დაცვისთვის, რაც ხშირად მსუქნებს ანუხებთ.

ვინაა ღამნაუკვე?

წონდ „საზოგადოებრივი აზრის“ მიერ გამოკითხულ რუსეთელთა მხოლოდ 7 პროცენტი მიიჩნევს ალკოჰოლიზმს დაავადებად შევითხვავზე იმის



შესახებ, თუ რატომ არ შეუძლია ადამიანს უარი თქვას ალკოჰოლზე, ყველაზე ხშირად იყო ასეთი პასუხები: „დამნაშავეა უმუშევრობა“, „ცხოვრება ისეთია, რომ ლოთობამდე მივყავართ“, „არ არის ნებისყოფა, რომ დავუპირისპირდე“, „სვამენ მხოლოდ უსაქმურები“, „ყველაფერში სტრესია დამნაშავე“.

რუსეთელები იტყობინებიან, რომ უკვე უფრო ცოტას სვამენ. თუ 2002 წელს გამოკითხულთა მეოთხედი ამბობდა, რომ ალკოჰოლს მიმართავს რამდენჯერმე კვირაში, ახლა ამას აღიარებდა რესპონდენტების მხოლოდ მეათედი. რუსეთელთა ორი მესამედი დღეს ამტკიცებს, რომ სვამენ მხოლოდ რამდენჯერმე წელიწადში ან სულაც არ სვამენ (12 წლის წინათ ასეთი პასუხები ლამის ნახევარზე მეტი იყო).



იარა და შეჰყანი!

ბრბ მხოლოდ გასეირნება, არამედ ჩვეულებრივი სიარულიც ოთახში აუმჯობესებს აზროვნების პროცესებს, გამოარკვევს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა სტენფორდის უნივერსიტეტიდან. მათ კოლეჯის 176 სტუდენტს სთხოვეს, შეესრულებინათ მთელი რიგი შემოქმედებითი დავალება. საცდელებს სხვადასხვა პრობები დაუსვეს: ერთნი შენობაში ისხდნენ, მეორენი გადიოდნენ ბუნებაში, მესამენი დააბიჯებდნენ ოთახში წინ და უკან. ოთახში მოძრაობის, ისევე როგორც გასეირნების დროს, საცდელები 60 პროცენტით უკეთ ართმევენდნენ თავს შემოქმედებით დავალებას, ვიდრე ისინი, ვინც უძრავად იჯდა.

ფსიქოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოძრაობა დადებითად მოქმედებს მხოლოდ შემოქმედებითი დავალებების შესრულებაზე - კონკრეტული ლოგიკური თავსატეხის ანალიზისთვის საჭიროა უფრო მეტი კონცენტრაცია, ფოკუსირება, ამიტომ ამ შემთხვევაში სიარულმა შეიძლება ხელი შეგვიშალოს.

გამოკითხვა

თქვენი აზრით, სად უფრო უსაფრთხოა ცხოვრება:

ქალაქში თუ სოფელში?

82 პროცენტი - ქალაქში - იქ საღამოს და ღამის ქუჩები განათებულია, დღე-ღამის განმავლობაში პატრულირებას აწარმოებს პოლიცია...

12 პროცენტი - სოფლებში - იქ ყველა იცნობს ერთმანეთს, ჩამოსულებიც სახეზე არიან.

6 პროცენტი - არ ვიცი, მიჭირს შედარება.

სულ გამოკითხვაში 2517 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

კვირის ციფრები

20 პროცენტი შეიძლება შევამციროთ მტვერი ბინის ჰაერში, თუ გაავაშენებთ ოთახის მცენარეებს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 29 9-62-77; 568 82-09-84.



კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

- გულწრფელად მითხარი, რა იფიქრე წუხელ, როდესაც სახლში თვალმდებლურჯებულები დაგბრუნდი? - ეკითხება ქმარი ცოლს. - არაფერიც არ მიფიქრია. როცა სახლში მიხვედი, თვალი არ გქონდა ჩალურჯებული.

- დამუშვებთ, რომ ათი ვაშლი გაქვს. ვიღაცამ ორი ვაშლი გთხოვა. შენ რამდენი დაგრჩებოდა? - ეკითხებიან ტიპს. - კვლავ ათი.

- ეს როგორ? კარგი, დავუშვათ, რომ ვიღაცამ კი არ გთხოვა, არამედ წაგართვა ორი ვაშლი. რამდენი დაგრჩებოდა? - ათი ვაშლი და ერთი ცხედარი.



სამი ტყუპისცალი გაგაჩინე. ახლა ექიმები მათი მამის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან.

- ესაა საავადმყოფოა, რა როცა იქ მივედი, ერთმა ექიმმა მითხრა, ბრმანაწლავის პრობლემა გაქვსო, მეორემ მიმარჩიელა, თირკმელებში კენჭები გაქვსო, მესამემ გულის მანკი მომანერა... - და რით დამთავრდა ეს ყველაფერი? - გლანდები ამომჭრეს...

ხუთი წლის გოგონამ პარკში ჩაყარა თავისი საყვარელი სათამაშოები და კარებისკენ წავიდა. - სად მიდიხარ, შვილო? - ეკითხება მამამისი. - დეიდეო სულ მერხუბება, - ამოისლუკუნა გოგონამ. - ამიტომაც გადავწყვიტე, რომ წეროს დაგუბრუნდე.

ავტორთა სახურავლიეროდ რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მთწილი პერიფსკიანის) ქ. 19 ინფორმაცია 66434

გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851 9 772233 385001

მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკია 514 33-33-24